140/1951/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 3 1951

ჟურნალი

პ ი ო ნ ე რ ი

№ 3 მარტი 1951

საბლიტგამი

წელიწადი XXV

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

დ ე დ ე ბ ი, დ ე ბ ი

— ომის დროს დავკარგე ყველაზე ძვირფასი—შვილები. მე დავკარგე ზოია და ალექსანდრე, რომელთაც შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. მე ვლაპარაკობ მილიონიანი დედების სახელით, რომელთა ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება გადატანილი ტანჯვა-წვალება. ჩვენ, საბჭოთა ქალებს, არ ძალგვიძს განადგურებული ქალაქებისა და გადამწვარი სოფლების დავიწყება. განა მე შემიძლია დავივიწყო წამება, რაც ჯალათებმა ჩემს ქალიშვილს ზოიას მიაყენეს! ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ქალებო, ამერიკისა და ინგლისის დედებო, მხოლოდ თქვენს აქტიურ ბრძოლას შეუძლია იხსნას თქვენი შვილები, ქმრები, ძმები ბრძოლის ველზე სიკვდილისაგან!

ეს დედის სიტყვებია, ესოდენ მგრძნობიარე, თბილი, მზრუნველი, მოამაგე. ეს ომისაგან, ფაშისტი ჯალათების მიერ დატანჯული დედის სიტყვებია, სიცოცხლის დასაცავად რომ მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ქალებს. ეს არის უკვდავი გმირების ზოია და ალექსანდრე კოსმოდემიანსკების დედის მოწოდება.

დედა! —რაოდენ ახლობელი, საყვარელი და ძვირფასია იგი ადამიანისათვის.

„ვადიდოთ ქალი-დედა, რომლის სიყვარულს არა აქვს საზღვარი, რომლის მკერდით გამოზრდილია მთელი ქვეყანა“,—წერდა მაქსიმ გორკი.

ჩვენს სამშობლოში, სტალინის მზით გაშუქებულ ქვეყანაში ქალი ნამდვილად ბედნიერია, იგი უფლებით მამაკაცის თანასწორია. რამდენი ქალია ჩვენში მასწავლებელი, მეცნიერი, საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, ექიმი, სტახანოველი! ვინ მოთვლის მათ! ისინი პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობით არიან გარემოცულნი. მრავალი მოწინავე ქალი ხალხის რჩეულია, დეპუტატია.

საბჭოთა კავშირის ქალების მაგალითის მიხედვით ნამდვილი ბედნიერი ცხოვრების გზას დაადგნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელი ქალები, ისინი ახალი ცხოვრების მშენებლობის აქტიური მონაწილენი არიან!

ქალი დიდი ძალაა. მთელი მსოფლიოს მოწინავე ქალები დარაზმული არიან მშვიდობისათვის საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5329

ლადო ავალიანი — **მ ო თ ხ რ ო ბ ა** — მხატვარი შ. ცხადაძე

ოც მარტს ნანას ცხრა წელი შეუსრულდა. ამ ბედნიერი დღის გათენებას რა ხანია ელოდა იგი.

მართალია, მარტი ზოგჯერ კეთილად არ იხსენიება — ყველა ცვალებადი ხასიათის ადამიანს სწორედ ამ თვეს შეადარებენ ხოლმე, მაგრამ ისიც უთქვამთ — მარტი კაბას კერავსო. მართლაც, ბუნება ამ დროს იღვიძებს, იმოსება, საკიკლუცოდ ემზადება, და ნანასათვისაც ხომ სწორედ მარტში იკერება ყველაზე საუცხოო კაბა.

პატარა ნანა დღეს ოჯახის წევრთა შორის ყველაზე დიდ პატივში იყო. მისი სახლის კარი წამდაუწუმ იღებოდა, სტუმრები თავს იყრიდნენ დიდ ოთახში. აქამდე სახლში მარტო შინაურების ხმა რომ გაისმოდა, ახლა ბავშვების ჟრიამულმა ხალისი შემატა იქაურობას. ყველა მხიარულად გამოიყურებოდა; ყველა ცისფერი, თაფლისფერი და შავთვალა გოგონას სახეზე ბედნიერება აღბეჭდილიყო. მართლაც რომ საზეიმო წამი იდგა. არც სტუმრების მოსვლას უჩანდა ბოლო, არც ნანასთვის მორთმეულ საჩუქრებს. საჩუქრების გროვას რომ თვალს გადაავლებდით, იფიქრებდით: ყველა მშობელი ცდილა თავისი შვილის ამხანაგისთვის დაბადების დღის აღსანიშნავად ძვირფასი საჩუქარი შეერჩიაო. დაიკოები და ძმიკოები კი გუნებაში ფარულად ნატრობდნენ: ნეტავი ჩემი საჩუქარი ყველაზე უფრო მოეწონოს ნანასო. მაგრამ დღეს ნანა გააოცა არა ძვირფასმა და ორიგინალურმა, არამედ უბრალო საჩუქარმა — ფერად ქაღალდებში გახვეულმა შოკოლადისკონფეტებიანმა პატარა კოლოფმა, რომელიც ყველაზე ახლობელმა და საყვარელმა ამხანაგმა ლალიმ მოართვა: ლალის საჩუქარი განსაკუთრებით ორიგინალური იყო ყოველთვის.

თექვსმეტ ამხანაგში თორმეტი იყო გოგონა, ოთხი — ნათესავი ბიჭუნა. ყველა კოხტად იყო ჩაცმული და მოსწავლის ფორმა ისე უხდებოდათ, დახატულს ჰგავდნენ.

მაგიდას რომ მოუსხდნენ, ხალისიანად შეექცნენ ნამცხვარს, გული იჯერეს სიმღერით, ცეკვით. საღამომ ისე გაიარა, ათმა საათმა ისე მოაწია, არც გაუგიათ. როცა მშობლებმა მოაკითხეს, ბავშვებს გაუკვირდათ კიდეც. — რა დროს შინ წასვლაა, განა რამდენი ხანია რაც მოვედითო. გულდაწყვეტილნი უკვე მოემზადნენ მეგობართან გამოსამშვიდობებლად, მაგრამ მოულოდნელად ლალიმ გამოაცხადა: „ბავშვებო! ერთი საჩუქარი კიდევ მაქვს ნანასთვის და გთხოვთ მომისმინოთ“. ბავშვებს კვლავ შეექნათ ჟრიამული. ვისაც უკვე ჩაეცვა პალტო, უმალ გაიძრო და ვინაიდან დაკიდების დრო აღარ იყო, დერეფანში სკამზე დადო. ბავშვები ისევ დიდ ოთახში შეცვივდნენ.

ერთ წუთში ყველა დალაგდა, დაწყნარდა. ზოგი სკამზე ჩამომჯდარიყო, იდაყვებით საზურგეს ჩამოჰყრდნობოდა, ზოგს ტახტზე მოეკალათებინა, ზოგიც, ცნობისმოყვარე და უფრო მოუსვენარი, კედელს აჰკვროდა და ჯერ კიდევ ტოკავდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ლალი როიალს მიუჯდა. სრულ სიწყნარეში კლავიშებზე ლალის თითების შეხების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალ ოთახში სიხარულის აღმძვრელი ბგერები დაირხა. თვალი რომ დაგეხუჭათ, იფიქრებდით — როიალს კი არ უკრავენ, ჩიტი გალობს და მისი წკრიალა ხმა გაისმის ჰაერშიო. სულ ორ წუთს უკრავდა ლალი, მაგრამ სულგანაბულ ბავშვებზე, განსაკუთრებით კი ნანაზე, ამ დაკვრამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ბავშვებს სიხარულის ცრემლებიც კი მოერიათ. ლალის დაკვრამ დიდებსაც სიხარულით აუძგერა გული. ყველას ისეთი სიამოვნება განაცდევინა ამ პატარა პიანისტმა, რომ ამ ორ ძვირფას წუთს ახლა ვერაფერი შეედრებოდა.

როცა ტაში გაისმა და ლალიმ ამხანაგებს გადახედა, სახემოღიმარი, თანაც აცრემლებული ნანაც დაინახა, მიიჭრა მასთან, გადაკოცნა და ჰკითხა:

— რა გატირებს, ნანა?!

ნანამ ცრემლი მოიწმინდა, გაბუტულივით შემოხედა ამხანაგს და წაიჩურჩულა:

— მე არ ვტირი! — მერე მორცხვად დაუმატა: მომეწონაო და გაიცინა.

— რა ხანია, ამ პატარა პიესას შენი დაბადების დღისათვის ვამზადებდი, ეს იყო ჩემი საჩუქარი, — უთხრა ლალიმ.

— ვისია? — იკითხა ნანამ.

— ჩაიკოვსკისა.

— რა ჰქვია?

— ტოროლას სიმღერა. ამ სიმღერაში კომპოზიტორი გულისხმობს სწორედ შენი დაბადების თვეს — მარტს, როცა ტოროლა პირველად შეინავარდებს ლაჟვარდში და ქვეყანას ამცნობს გაზაფხულის მოსვლას. ჩაიკოვსკის წელიწადის ყველა თვეზე აქვს დაწერილი პატარა პიესა.

სტუმრები რომ წავიდნენ, ნანა დაწვა, დედა კი დიდხანს ფხიზლობდა. ნანა დაწვა. მაგრამ სულ ჩაიკოვსკის „ტოროლაზე“ ფიქრობდა. ტოროლას წკრიალა ხმები ახლაც გარკვევით ჩაესმოდა ყურში. ამ სიმღერამ ლალი მას კიდევ უფრო შეაყვარა, მისმა საჩუქარმა დღეს ყველაზე მეტად ასიამოვნა.

ლალი როიალს მიუჯდა.

თავის ნანაზე კი დედას გული სწყდებოდა, რომ ნიჭიერი ბავშვი მუსიკას უგულოდ სწავლობდა და წარმატებას ვერ იჩენდა.

როცა დედამ ოთახში სინათლე ჩააქრო და დასაძინებლად მოემზადა, მოულოდნელად ნანას ხმა გაისმა. დედას ეგონა სძინავსო, ბავშვი კი ფხიზლობდა.

ნანამ დედას შეჰფიცა — ხვალიდანვე გულმოდგინედ შევუდგები მუსიკის გაკვეთილების მომზადებას და გაისად, ლალის დაბადების დღეს, მისთვის ჩაიკოვსკის იმ სიმღერას დავუკრავ, რომელშიც დიდი კომპოზიტორი თებერვლის თვეს გამოხატავსო.

ნანას ყველაზე ახლობელი და საყვარელი დაიკო თებერვალში დაიბადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩუქურთმის სიმღერა

სვეტმაღალი დიდი სახლი
ქართლის გულში ამიგია,
დღეს ხარაჩო ჩამოვხსენი,
მოდით, ნახეთ, რარიგია!

სართულს სართულს ვაშენებდი,
პურის თავთავს ვჭრიდი ქვაზე,
მოდით, ნახეთ, თუ გსურთ იგრძნოთ
ჩუქურთმების სილამაზე.

როცა ნახა დიდოსტატმა,
მიქო ცოდნა, შრომა, გარჯა,
და მე ვიგრძენ, კაცის ძალამ
ქვაზე როგორ გაიმარჯვა.

ვინც კი ნახა, ყველა მიქებს
ოსტატობას, შრომას, მარჯვენს,
ქვას სიცოცხლე მივანიჭე
და სიკვდილზე გავიმარჯვე.

გუშინ თბილისს ვაშენებდი,
დღეს რუსთავის ქალაქს ვაგებ,
ბოლნისის ქვას მკერდით ვათბობ,
ზედ ქართულ ვაზს ვაქანდაკებ.

სადაც დიდი სასახლეა,
ყველგან ისმენთ ჩემს საუბარს,
ჩემი ბაგით ქვა მეტყველებს,
ჩემი ენა ქვას ჩაუდგამს!

მე ჩუქურთმის ოსტატი ვარ,
ჩვენი ქვეყნის მშენებელი,
ყველა ქუჩის, ყველა უბნის
სახლის დამამშვენებელი,
მე შრომას და მარჯვენს მიქებს
დიდი ალმაშენებელი.

მირიან სურგულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალიჩები

გიორგი გელაშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ა. ბანძელაძე

გია დოლიძე სახელოსნო სასწავლებლის კოხტად მოწყობილ ოთახში თავის საწოლზე გულაღმა წამოწოლილიყო, ხელები თავქვეშ ამოეწყო და მოცინარი თვალებით მისჩერებოდა კრიალა ცის სწორკუთხოვან მონაკვეთს, რომელიც თითქოს მინის მაგიერ აჭკვროდა უზარმაზარ ფანჯარას. გიას ეცვა სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლის უხეიროდ მოვლილი, მითელ-მოთელილი ფორმა.

გიას გარდა ამ ოთახში კიდევ შვიდი თანაჯგუფელი მოსწავლე ცხოვრობდა.

„გაივლის ერთი წელიც და ჩვენი ქალაქის რომელიმე დიდ ქარხანას ჩემი სახით მოევლინება საუკეთესო ახალგაზრდა ხარატი, — ოცნებობდა გია, — რომელიც თავისი საწარმოო მიღწევებით დამსახურებულ სპეციალისტებსაც კი გააოცებს...“

ამ ოცნებით გატაცებულმა გიამ უნებლიეთ იკითხა:

— საინტერესოა, რა ასაკში შეიძლება გახდეს ადამიანი სტალინური პრემიის ლაურეატი?

ამ შეკითხვას, რომელიც დაყენებული იყო უფრო საკუთარი თავის, ვიდრე სხვის წინაშე, მოკრძალებული ხმა გამოეპასუხა:

— ასაკი განსაზღვრული არ არის. როცა საქმით დაიმსახურებ, სტალინური პრემიის ლაურეატობას მაშინ მოგანიჭებენ.

ეს თქვა მეზობელ საწოლთან სკამზე ჩამომჯდარმა ავთანდილ იაშვილმა. მოსწავლის ახლად დაუთოებული ფორმა ავთანდილის ტანზე მოხდენილად იდგა და ისედაც კოხტა ყმაწვილს უფრო მიმზიდველსა ხდიდა.

ოთახში მათ გარდა არავინ იყო. ავთანდილმა ისეთი წყნარი ხმით უპასუხა, რომ სრულიად არ შეუფერხებია გიას ოცნების მსვლელობა. გია კი ფიქრობდა თავის ნათელ მომავალზე, თვალწინ ეხატებოდა თავისი თავი. აი, იგი დგას დაზგასთან და თვალის ყოველ დახამხამებაზე აკეთებს ახალ-ახალ ურთულეს დეტალებს. ხალხი აღფრთოვანებული შესცქერის ახალგაზრდა ხარატის მუშაობას. გაზეთები აჭრელებულია მისი სურათებით...

ასეთ ოცნებაში იყო გართული გია, რომ ოთახში შემოვიდა კომკავშირული ჯგუფორგი ირაკლი კარგარეთელი, ტანწვრილი, თაფლისფერთვალებიანი ყმაწვილი. მას ორი მოსწავლე ახლდა. ისინი კარებთან შეჩერდნენ.

ირაკლიმ წყნარი ხმით თქვა:

— როცა მოსწავლე სახელოსნოში მუშაობას ამთავრებს, იგი მოვალეა გაწმინდოს დაზგა, შეინახოს იარაღი და საერთოდ წესრიგში მოიყვანოს ყველაფერი.

— შენი უმისამართო შენიშვნა მე ხომ არ მეხება?—თვალების მოჭუტვით დაეკითხა მას გია და უფრო მოხერხებულად მოეწყო საწოლზე.

— დიახ, შენ გეხება,—შეუტია ირაკლიმ, — ამის შესახებ რამდენიმეჯერ გაგაფრთხილეთ, მაგრამ შენ მაინც შენსას არ იშლი. ისევ მოგვიხდება ჯგუფის შეკრებაზე მოგლაპარაკოთ.—ირაკლიმ ავთანდილსა და დანარჩენ ორ მოსწავლეს გადახედა და დაუმატა:—კინოში წასვლის დროა. ნუ ვაყოვნებთ, სხვები ეზოში გველოდებიან.

ავთანდილი წამოდგა და წასასვლელად მოემზადა.

გია უცებ წამოხტა საწოლიდან და, როგორც ყოველთვის, ახლაც სადღაც დაკარგულ ქუდს დაუწყო ძებნა.

— შენ საით?—ჰკითხა მას ჯგუფორგმა.

— როგორ თუ საით?—გაიკვირვა გიამ. — ცხადია, კინოში.

— მარტო?

— რატომ მარტო, თქვენთან ერთად.

— არა, — მტკიცედ განუცხადა ირაკლიმ. — შენ ჩვენთან ერთად ვერ წამოხვალ, მაგ ტანსაცმელით მწყობრს დაგვიმახინჯებ.

სახეზე ალმურავარდნილმა გიამ თავი შეიკავა, მითელ-მოთელილ ტანსაცმელზე არ

დაიხედა, მხოლოდ რაღაც ჩაიბურტყუნა თავისთვის და ოთახიდან გასული ამხანაგები დაბნეული თვალით გააცილა.

მაოტო დარჩენილ გიას ფიქრები არ ასვენებდა:

„აქაო და სუფთა და დაუთოებული ტანსაცმელი გვაცვიაო, თავიანთი თავი დიდი რაძა ჰგონიათ,—ფიქრობდა გია ამხანაგების შესახებ,—ის კი არ იციან, რომ საქმე ძარტო ტანსაცმელში არ არის, საქმე ძუძაობაძია. ჩემი დაძზადებული დეტალები მათ ნამუშევარს რით ჩაძოუვარდება?! დაზგა დაუსუფთავებელი დაგიტოვებიაო... მერე და რა ძოხდა! ხვალ ძუძაობის დაწყებაძდე დავალაგებ... ერთი სიტყვით, მათზე ფიქრიც არა ღირს... ძაგრამ ავთახდილი? ეჰ, ავთახდილიც უგულო ყოფილა. აგერ როგორ ძდგოძარეობაძი დაძტოვა და არხეინად წავიდა კინოში. განა ხაძდვილი მეგობარი ასე ძოიქცეოდა?“

აძასობაძი გარეთ ბინდი ჩამოწვა. ოთახი გაფერმკრთალდა. გიამ სიმარტოვე ვეღარ აიტანა და გადაწყვიტა მეზობელ ოთახში სხვა მოსწავლეებთან გასულიყო. მაგრამ მეზობელ და არც სხვა ოთახებში არავინ დახვდა. ძხოლოდ გოგონების ოთახიდან გამოდიოდა სინათლე. გაბრაზებული გია იქით გაემართა.

ნაქარგი ტილოებითა და ყვავილების თაიგულებით დაძშვენებულ ოთახში მას მხოლოდ თინიკო ლორია დახვდა. გოგონა საძურად გაკაშკაშებულ მაგიდასთან მოწყობილიყო და რაღაც გამჭვირვალე ნაჭერს ცისფერი ძაფით არშიას ავლებდა.

გიას გამოხენას თინიკო გაოცებით შეხვდა:

—რატომ კინოში არ წასულხარ?

გიამ ამოიოხრა და სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

— დისკვალიფიკაცია.

— რაო?

— დისკვალიფიკაცია,—გაიმეორა გიამ და განმარტა:—ეს ნიშნავს დანაშაულის გამო შეჯიბრებიდან სპორტსმენის დროებით გამოთიშვას.

გოგონამ გადაიკისკისა.

—და შენც, როგორც ყოველთვის, ახლაც რაიმე დანაშაული ჩაიდინე და ამიტომაც არ წაგიყვანეს კინოში? ესე იგი, დისკვალიფიკაცია!

— არავითარი დანაშაული! მხოლოდ ირაკლი კარგარეთელი გამომედავა: რატომ დაზგა არ დაგისუფთავებიაო, რატომ ტანსაცმელი არ გაგიუთოებიაო.

— მართალი უთქვამს,—დამაჯერებლად თქვა თინიკომ.

გიას აღელვება დაეტყო და წამოხტა.

— შენც მას ეთახხძები?!

— რატომ ბრაზობ! კარგ მოსწავლეს ... გაც დასუფთავებული უნდა ჰქოხდეს და ტანსაცმელიც დაუთოებული.

— ძეხც უგულო ყოფილხარ, იმის მაგიერ, რომ მითანაგრძნო, პირიქით, მაბრაზებ. ეს რა ამხანაგობაა!

თინიკოს გაეცინა.

— დამშვიდდი, გია! ვისაც შენთვის კარგი სურს, იაკლზე ძოგცემს შენიშვნას და ძენც შეეცდები ნაკლი გამოასწორო. სწორედ ეს არის ამხანაგობა.

აქ გია უხერხულად შეიშმუშნა და, რადგან თავის გასამართლებლად ვეღარაფერი ძოახერხა, იფიქრა, თინიკოსაც გავაძწარებო.

— თუ არ ვცდები, შენთვისაც დისკვალიფიკაცია მოუციათ, არც შენ წაუყვახიხართ კინოში შენს ძეგობარ გოგონებს.

— უკაცრავად,—სასწრაფოდ გამოეპასუხა თინიკო,—ძე ჩემი სურვილით დავრჩი, საქმე მაქვს. შენ კი დაიხსოძე: ჩვენ დამრეცხავიც გვყავს, დამკერებელიც და დამუთოებელიც, ძაგრამ საჭიროების დროს თვითონ მოწაფეს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის ძოვლა-პატრონობა.

თინიკოს იერიშით დაბნეულმა გიამ ხელი ჩაიქნია.

— შენთან ლაპარაკიც არა ღირს, — ჩაიბუზღუნა და გარეთ გავიდა.

ორი მოულოდნელი „თავდასხმით“, — ასე უწოდა მან ირაკლისა და თინიკოსაგან მიღებულ შენიშვნებს,—გაბრუებულმა გიამ დიდხანს იბორიალა დადუმებულ დერეფნებ-



— შენც უგულო ყოფილხარ. იმის მაგიერ, რომ მითანაგრძნო, პირიქით, მაბრაზებ.

— სხვა დროს ეს არ მოხდება, ავთანდილ...

ში და ბოლოს ეზოში ჩავიდა. იქ მას უნდოდა სკამზე ჩამომჯდარიყო და გაბნეული ფიქრებისთვის როგორმე თავი მოეყარა, მაგრამ მისი ყურადღება სახელოსნოს მაღალი ფანჯრებიდან გამოფრქვეულმა შუქმა მიიპყრო.

— რას ნიშნავს ეს, საღამოთი სახელოსნოში შუქი რატომ უნდა ენთოს?—დაეკითხა განცვიფრებული გია თავის თავს.

იგი ფეხაკრეფით მიუახლოვდა სახელოსნოს შენობას, კედელს აეკრა და ერთ-ერთ ფანჯარაში შეიხედა. სახელოსნოში მის დაზგას ვიღაც ფრთხილად უვლიდა გარშემო. უკეთ რომ დაენახა ყველაფერი, გიამ ადგილი გადაინაცვლა, ახლა მეორე ფანჯარასთან შეიხედა სახელოსნოში. აქედან [illegible] ლად დაინახა ავთანდილ იაშვილი, რომელიც ჩვრითა და ჯაგრისით მეგობრის დაზგას ასუფთავებდა.

გიამ ერთ ხანს უყურა ავთანდილის საქმიანობას, მერე ფანჯარას მოშორდა და სახელოსნოში შევიდა დარცხვენილი.

ავთანდილი, თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო, შეკრთა, გარინდდა და აცომცომებული თვალებით მიაცქერდა მეგობარს. გიამ მის თვალებს დიდხანს ვერ გაუძლო და თავი ჩაღუნა. შემდეგ აღელვებულმა და დარცხვენილმა ავთანდილს ჩვარი და ჯაგრისი გამოართვა.

— მე თვითონ, ავთანდილ, მე თვითონ გავწმენდ და დავალაგებ ყველაფერს. ამის გაკეთება მე თვითონ შემიძლია და მოვალეცა ვარ, რომ გავაკეთო.

გიამ მალე მოაწესრიგა ყველაფერი: დაზგა გაწმინდა, იატაკზე დაყრილი ბურბუშელა აგავა, იარაღი კარადაში შეალაგა.

— სხვა დროს ეს არ მოხდება, ავთანდილ, — უთხრა გიამ. — ჩემ გამო კინოში წამსვლელებს ჩამორჩენიხარ... გთხოვ მაპატიო. — გიამ რაღაც გაიფიქრა, მერე ხმადაბლა დაუმატა: — გთხოვ წამომყვე ერთ გოგონასთან — თინა ლორიასთან... წეღან მას რაღაც ვაწყენინე და მინდა ვუთხრა, რომ სხვა დროს ასეთი რამ არ მოხდება და... უთოსაც გამოვართმევ.

ორივემ გულღიად შესცინა ერთმანეთს.

გაკრიალებული დაზგა ელექტრონშუქზე ბრწყინავდა, თითქოს ისიც კმაყოფილებით იცინოდა.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მწვანით შევმოსე მთა-ბარი,
ტურფად მოვხატე ყველგანა;
მოველ, ღიმილით შემომხვდა
მზის და გმირების ქვეყანა.

ავაბიბინე ბალახი,
ჯეჯილებს ფესვი გავუდგი
და სამუდამოდ სიტურფეს
ქვეყნად სახელი გავუთქვი.

სად წყარო ავაჩუხჩუხე,
სად ხე შევმოსე კვირტებით,
ქვეყნის სიკეთეს რომ ვხედავ,
მეც ყვავილებით ვირთვები.

მწვანით შევმოსე მთა-ბარი,
ტურფად მოვხატე ყველგანა;
მოველ, ღიმილით შემომხვდა
მზის და გმირების ქვეყანა.

იოსებ ნადაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი გაზაფხული

თამარ ჩხაიძე
მხატვარი ირ. რაზმაძე

მოთხრობა

უხსოვარი დროიდან იცნობს პაპა-მუხას ძტკვარი, იცის მისი ფიქრები.

— აგვჩეხეს, აგვჩეხეს, გაგვანადგურეს! — არა ერთხელ შეუჩივლია პაპა-მუხას მტკვრისათვის. მართლაც, დღე არ გავიდოდა, რომ ტყე ნაჯახების რახარუხს არ გაეყრუებინა. იქცეოდნენ ბრგე ხეები, ქარიშხლებთან ბრძოლებში არა ერთხელ გამარჯვებულნი. აბა, რას გახდებოდნენ ხელშიშველი ხეები პირდალესილ ნაჯახებთან?! ასე წლითიწლობით გაჩანაგდა ხეები და ოდესღაც დაბურული, გაუვალი ტყე გათხელდა.

ბევრი ტოლ-მეგობარი დაკარგა მუხამ, მაგრამ ყველაზე უფრო თამამაზე სწყდებოდა გული. თამამას ეძახდნენ პაპა-მუხას შვილიშვილს, თმაქოჩორა ნორჩ მუხას. იგი მართლაც თამამი იყო.

— ჰეი, ალვებო, დამაცადეთ, თქვენზე უფრო ავმაღლდები! — გაიძახოდა თამამა და ლაღად იზრდებოდა.

— ცისკენ მიისწრაფის, ღამით ვარსკვლავები უნდა დაკრიფოს! — იცინოდნენ ხეები.

— დე, იზარდოს, მასახელოს! — ამბობდა პაპა-მუხა და თამამას ქარიშხლებთან ბრძოლის წესებს ასწავლიდა.

ძლიერ უყვარდა პაპა-მუხას ნორჩი თამამა, შეჰხაროდა, მაგრამ ერთ დღეს თმახუჭუჭა ბიჭიკომ, რომელსაც მეგობარი რეზოს ეძახდა, თამამა ამოთხარა და თან წაიღო.

ძწარედ შეწუხდა პაპა-მუხა.

— ნუ სწუხარ, მუხავ, დაიცადე, გაზაფხულდება და მიწაში ჩარჩენილი თამამას ფესვი ამოიყრის! — ანუგეშა მტკვარმა პაპა-ძუხა, მაგრაძ მის შემდეგ ტყემ საძჯერ გაიზაფხულა, მიწაში ჩარჩეხილ თამამას ფესვს კი არ აძოუყრია.

— იქნებ ამ გაზაფხულმა მოუტანოს სიხარული, — ფიქრობს ძტკვარი და პაპა-მუხას ახალ გაზაფხულს ულოცავს.

იდუმალი ღიმილით გასცქერის პაპა-მუხა ახმაურებულ ტყეს. რაღაც იცის, რაღაცას ელის, რაღაცას ფარავს, მტკვარსაც კი არ უმხელს თავის ფიქრებს. გულწითელა ჩიტმა ძოუტანა სასიხარულო ამბავი მახლობელი ტყიდან, და ტყისკენ მომავალ გზას გასცქერის პაპა-ძუხა.

გაზაფხულია, ჩურჩულებენ გაღვიძებული ხეები. უცებ ძეწნა შეკრთა და გამლილი დალალების რხევა შეაჩერა.

— გესმის?!— წასჩურჩულა ალვას.

— ძესმის და კიდევაც ვხედავ!—უპასუხა ალვამ.

— რას ხედავ?

— ბარებით, ნაჯახებითა და წერაქვებით შეიარაღებულ წითელყელსახვევიან ყმაწვილებს მოაქროლებს აქეთ ავტომანქანა; მათ შორის თმახუჭუჭა რეზო გამოვიცანი, ის, რომელმაც თამამა მოგვტაცა, — ჩურჩულითვე უპასუხა ალვამ.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ, ამოგვჩეხენ! — დაიკვნესა ძეწნამ და დამლილი დალალები მწუხარედ შეარხია.

* * *

აშრიალდნენ, ახმაურდნენ შეშფოთებული ხეები, შემდეგ გაირინდნენ.

აბა, რას გახდებოდნენ ხელშიშველი ხეები პირმოლესილ, პრიალა ნაჯახებთან?!

ამაყად იდგნენ თავაწეული ხეები, სიკვდილს თვალს არიდებდნენ.

— აქეთ, აქეთ მოიტანეთ! — გაისმა რეზოს ხმა და უცებ მიწაში ჩასული ბარი ახმიანდა:

— შრ, რრ, ჭახ! შრ, რრ, ჭახ!

— თხრიან, თხრიან, ნეტავ რომელ ხეს?— ამოიკვნესა ძეწნამ. წერაქვის ყოველი დაკვრა, წალდის ყოველი მოქნევა გულს უღონებდა ხეებს, მაგრამ ისინი ძირს მაინც არ იხედებოდნენ.

მხოლოდ მაშინ, როცა ტყიდან გასული უკანასკნელი ბავშვის ფეხის ხმა მიწყდა, დახარეს ხეებმა თავი, რომ გამოერკვიათ, თუ ვინ დააკლდათ.

დახარეს თავი და მოჩეხილი ხეების ნაცვლად ახლად დარგული ნერგები დაინახეს.

განა მარტო ნერგები?! თამამაც თავის ადგილზე იდგა.

— დავბრუნდი, დავბრუნდი! — გაიძახოდა თამამა და პაპა-მუხას უყვებოდა, თუ როგორ დარგო რეზომ თამამა თავის პაწია ბოსტანში, როგორ ენატრებოდა ტყე, როგორ შეარცხვინეს ბოსტნის დასათვალიერებლად მოსულმა მეგობრებმა რეზო: რად ძოთხარე ისედაც გაჩანაგებულ ტყეში ნორჩი ხეო, როგორ დადო რეზომ პირობა ისევ ტყეში წავიყვანო და, ამის გამო, როგორ გამოგზავნა თამამამ გულწითელა ჩიტი პაპა-მუხასთან მახარობლად.

აშრიალდნენ გახარებული ხეები: — დაურგავთ ნერგები, დაურგავთო, პაპა-მუხას მანქანისკენ მიმავალ ყმაწვილებზე ანიშნეს და შეეკითხნენ:

— ვინ არიან ეს მალხაზები?

— ტყის მეგობრები, ტყის მეგობრები! ამიერიდან ნულარაფრის გეშინიათ, უდარდელად იშრიალეთ, ახალი გაზაფხული დაგიდგათ! — უპასუხა პაპა-მუხამ და ტყეს ახალი გაზაფხული მიულოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიმნი შრომისადმი

ძმობილო! კაცს თუ ნიჭი აქვს,
ყველაფერს დაეუფლება.
მაგრამ ცუდია, თუ ამ ნიჭს
არ ახლავს „შრომის სუფევა“.

შენზე არ ვამბობ... ზოგიერთს
ნიჭი აქვს, შრომა არა სურს.
და რა დარჩება იმისგან,
ჩვენში რომ ითქვას, დასასრულს?

მხოლოდ ნალეწი აბრები,
ანაზდეული, წყვეტილი,
ნიჭი კი ვიწრო ნაჭუჭში
ყარიბად გამოკეტილი.

შრომა ცხოვრების სკოლაა,
დიადი მასწავლებელი,
შრომა პიტალო ბურჯია,
ნიჭი იმისი მხლებელი.

შრომით აიღეს მტრის ციხე,
გაანადგურეს, დალეწეს,—
ნიჭი წახდება უშრომლად,
შრომით იცოცხლებს ათას წელს!

ქართველი ნიჭით და შრომით
ყოველთვის ასე ქებულა:
— დიდება შრომას, ვაშა ნიჭს,
ორივეს შეერთებულად!

ი. გრიშაშვილი

ქალიშვილი საკონცენტრაციო ბანაკიდან

(ნაწყვეტი წიგნიდან „გმირთა სისხლით")

ვინ მოთვლის, საბჭოთა სამშობლოს რამდენმა მამაცმა ქალიშვილმა ისახელა თავი დიდი სამამულო ომის ფრონტზე! მათ შორის რჩეულთა სახელები მთელმა მსოფლიომ იცის. სამარადჟამოდ დაუვიწყარია ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლუბა შევცოვას, ულიანა გრომოვას, ლიზა ჩაიკინას, ზოია რუხაძის სახელები...

ჩვენს პარტიზანულ შენაერთში არა ერთი ქალი იბრძოდა. მათმა ლეგენდურმა სიმამაცემ უფრო მეტად დაამშვენა პარტიზანული მოძრაობის ისედაც სახელოვანი ისტორია...

საბჭოთა ხალხის სახელოვან ქალიშვილთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი შენაერთის პარტიზანი ჟენია კუდრიავსკაია. ჟენიას მამა ვასილ მოსეს ძე კუდრიავსკი ჩვენი ნაწილის მეოთხე ბატალიონის მეთაური იყო. მან განსაკუთრებით ისახელა თავი კარპატების რეიდის დროს.

საინტერესო ის არის, რომ კუდრიავსკის ოჯახის ყველა წევრი პარტიზანი იყო. რა ქალამი აღწერს იმ საშინელ ტანჯვას, იმ წამებას, რაც ჰიტლერელებმა კუდრიავსკის ოჯახს მიაყენეს, მაგრამ საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა მაინც ვერ მოტეხეს.

ჟენია კუდრიავსკაიას პირველ შეხედვაზე ვერც შეატყობდით, თუ ის ბრძოლის ცეცხლში იყო გამოწრთობილი. ეს იყო ნაზი ქალიშვილი, მშვიდი და წყნარი.

— ჟენია, შენ რომ გიცქერი, ომამდელი დრო მაგონდება, — ვუთხარი მას ერთხელ.— მეტად ნაზი ხარ, არ ჰგავხარ პარტიზანს.

— ნუთუ ასეთ შთაბეჭდილებას ვტოვებ?— დაიმორცხვა მან.

ეს სიტყვები ჟენიამ თითქოს წყენით და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე დაუმატა:

— მე ცხრა თვე გავატარე ჯერ გესტაპოს დილეგში და მერე საკონცენტრაციო ბანაკში!

— როგორ, თქვენ განა საკონცენტრაციო ბანაკში იყავით? მე როდი ვიცოდი, თუ ასეთი ჯოჯოხეთი გქონდათ გამოვლილი... მაპატიეთ...

— მე არ მიყვარს იმ დღეების გახსენება, აი, თუ გნებავთ, ჩემი საბუთები ნახეთ. ისინი უკეთ გეტყვიან ყველაფერს.

— ჟენია, შენ რომ გიცქერი, ომამდელი დრო მაგონდება...

ქალმა სერთუკის ჯიბიდან გახუნებული ქაღალდი ამოიღო და ხელში მომაჩეჩა.

— წაიკითხეთ!—მითხრა მან.

ქაღალდი გავშალე და ხმადაბლა კითხვა დავიწყე:

„ეს ცნობა მიეცა ამხ. ეპრაქსია სტეფანეს ასულს იმის დასტურად, რომ ის არის კროლევეცკის **პარტიზანული რაზმის** მეთაურის ვასილ მოსეს-ძე კუდრიავსკის მეუღლე და კომკავშირის არალეგალური ორგანიზაციის მდივნის ევგენია ვასილის ასულ კუდრიავსკაიას დედა. ამხ. კუდრიავსკაია ამავე დროს ორი ვაჟის დედაა, ორივენი წითელფლოტელები არიან. ეპრაქსია კუდრიავსკაია, მისი უფროსი ქალი ევგენია და უმცროსი ქალი— ხუთი წლის ნინა—ცხრა თვის განმავლობაში ღატყვევებულნი იყვნენ ქალაქ კროლევეცკის ციხეში. გერმანელებმა კარგად იცოდნენ, რომ ტყვე ქალი პარტიზანული რაზმის მეთაურის ცოლი იყო და ამიტომაც მას საშინლად სტანჯავდნენ, აწამებდნენ და დასცინოდნენ. მხოლოდ გერმანიაში საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნის წინადღეს ჩამოართვეს ქალს ჩვენება. ამ დღეს სასწაული მოხდა: ეპრაქსია სტეფანეს ასული თავისი ორივე ქალით პარტიზანებმა გამოიყვანეს ციხიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გააპარეს". საბუთი ხელმოწერილი და სათანადოდ დამოწმებული იყო.

ქაღალდი დავკეცე და ჟენიას გადავეცი.

— მაშ ეს თქვენი ოჯახია?—შევეკითხე მას.

— დიახ, ასეა, ეპრაქსია სტეფანეს ასული ჩემი დედაა, ევგენია კუდრიავსკაია კი მე გახლავართ,—მითხრა ჟენიამ.

— მერე და ვინ ხელმძღვანელობდა იმ პარტიზანებს, რომლებმაც თქვენ ციხიდან გამოგიტაცეს?—შევეკითხე ჟენიას.

— მამაჩემი.

ეს უკვე ძალზე საინტერესო ამბავი იყო. ჟენიას ვთხოვე დაწვრილებით ეამბნა თავისი თავგადასავალი, ეთქვა ყველაფერი, რაც თავს გადახდა.

— ომის წინახანებში, — დაიწყო მან, — მეცხრე კლასში ვსწავლობდი. ბეჯითად ვმეცადინეობდი, ყოველ წელიწადს ქების სიგელებს ვღებულობდი. მიყვარდა ივანე ფრანკოსა და ლესია უკრაინკას ლექსები... ბევრი ზეპირად ვიცოდი... დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ. ხომ იცით, როგორი იქნებოდა მეცხრე კლასის მოსწავლის ცხოვრება. ერთი უცნაურობა მჭირდა: სისხლის დანახვაზე გული შემიწუხდებოდა ხოლმე, მიცვალებულის დანახვა არ შემეძლო. ახლა კი ოცდათექვსმეტი გერმანელი მყავს მოკლული და არც მომავალში ამიკანკალდება ხელი. ეს იმიტომ, რომ კარგად ვიცი—ჰიტლერელი სიკვდილის მაუწყებელია, ქალისა და ბავშვის მკვლელია, კაციჭამიაა, მაშასადამე, მისი მოსპობა კეთილი საქმეა, სამართლიანი საქმეა. ახლა კარგად ვიცი, რომ, როცა ფაშისტსა ჰკლავ, სიცოცხლეს უნარჩუნებ ჩვენს ადამიანებს, პატარა ბავშვებს, უმწეო მოხუცებს... გულიც გიმაგრდება, როცა სამართლიან საქმეს იცავ.

გერმანელებმა სუმის ოლქი რომ დაიკავეს, მამაჩემი ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური იყო. მე და დედა მარტონი დავრჩით კროლევეცკში. მე და დედა ამ რაზმის მეკავშირენი გავხდით. ამასთანავე მე კროლევეცკში არალეგალური კომკავშირული ჯგუფი ჩამოვაყალიბე. მამას რაზმმაც იწყო ამასობაში უფრო გაბედული მოქმედება. იარაღი რაზმისათვის წინასწარ იყო ტყეში გადამალული. მე ვითომდა სოკოების მოსაგროვებლად დავდიოდი ტყეში, ფრთხილად მიმქონდა კალათით რევოლვრები, ხელყუმბარები და დანიშნულებისამებრ ვაწვდიდი რაზმს. იმ ხანებში გერმანელებისთვის მამაჩემის რაზმი შეუმჩნეველი აღარ იყო. მალე თავს დაგვესხა პოლიცია. მე, დედა და პატარა წინა დაგვატყვევეს და ციხეში წაგვიყვანეს. ამ დროიდან იწყება ჩვენი წამება, გაუგონარი წამება. მე დაკითხვის პირველი დღიდანვე ვეცადე ხასიათის სიმტკიცე გამომეჩინა, გესტაპოელ ჯალათებს არ შევუშინდი. მტკიცედ გადავწყვიტე ამ არამზადების წინაშე ქედი არ მოეხარა...

ჟენია კუდრიავსკაია

ქალი ისევ შედგა, თმაზე ხელი გადაისვა, ფიქრებმა გაიტაცა. თითქოს დაავიწყდა, რომ მე ამბავს მომითხრობდა.

— ჟენია, გცემდნენ ციხეში? — შევეკითხე. ქალმა შემომხედა, უარესად მოიქუშა, მოიღრუბლა.

— რასაკვირველია, მცემდნენ. აბა, ამას რათ უნდა კითხვა. პატარა ნინას, ჩემს დას, ხელს ჩაადებინებდნენ ხოლმე კარების ლრეჩოში, შემდეგ კარს მიხურავდნენ. შემზარავად წიოდა ბავშვი, გული უწუხდა, შველას გვთხოვდა, მაგრამ რა შეგვეძლო... ამ წამების დროს ერთხელაც არ მიტირია. ცრემლი არ გადმომვარდნია, სიტყვა არ დამცდენია. მე და დედამ ხომ ყველაფერი ვიცოდით! წარმოიდგინეთ, საკონცენტრაციო ბანაკიდანაც შევძელით პარტიზანებთან დაკავშირება.

ერთ ღამეს ჩვენთან საკანში ესესელების ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე შეიარაღებული კაცი შემოიჭრა. მათი ოფიცერი ჩემკენ წამოვიდა და თავზე დამადგა. შეეხედა და გაოცებისაგან კინაღამ შევკივლე: მამაჩემი იყო. იცნო დედამაც.

მე და დედამ ხმაამოუღებლად გადავხედეთ ერთმანეთს. შეიარაღებულებმა მრისხანედ დაგვიბრიალეს თვალები და გვიბრძანეს — ახლავე წამოდექით, უნდა წაგიყვანოთო. ვითომდა დასახვრეტად მივყავდით. ჩაგვსვეს საბარგო მანქანაში და გაგვაქანეს პარტიზანული რაზმის ბანაკში. სიხარულისაგან აღარ

ვიცოდი რა მექნა: ხან ვტიროდი, ხან ვიცინოდი... პაწია ნინა პირდაპირ ჩიტივით ფრთხიალებდა... მეუცხოებოდა მამა გერმანულ ტანსაცმელში. მალე დედა და ნინა თვითმფრინავით მოსკოვში გაგზავნეს. მე მამასთან დავრჩი და პარტიზანულ რაზმში ჩავეწერე. შვიდ თვეს ვირიცხებოდი მებრძოლთა რიგებში. პირველ ხანებში დიდი თოფი მომცეს, „დრაგუნკას“ რომ ეძახიან. იმით ვიბრძოდი, შემდგომ „კარაბინი“ ვიშოვნე... ბოლო ხანებში მეტყვიამფრქვევე გავხდი. ერთდროულად მენალმეობაც შევისწავლე.

— პირველ ბრძოლაში ალბათ ძალიან ღელავდი?—ვკითხე.

— სწორედ ასე იყო, ვღელავდი და თან ვცდილობდი შიში ახლოს არ გამეკარებინა. პირველი ბრძოლის შემდეგ შიში გაქრა, გული გამიმაგრდა. გავიდა შვიდი თვე და პარტიზან ქალებს გვიბრძანეს — სანიტრებად უნდა დაიწყოთ მუშაობაო. მეწყინა. მე მინდოდა იარაღით ხელში მებრძოლა, მსროლელი ვყოფილიყავ.

ბრძოლის ველზე ბევრ დაჭრილს აღმოვუჩინე სათანადო სამედიცინო დახმარება. მაშინ მივხვდი, რომ სანიტარი იგივე მებრძოლია.

— აი ეს ორდენი,—მიჩვენა ჟენიამ თავის მკერდზე,—ხიდის აფეთქებისათვის მივიღე. ჩვენმა ჯგუფმა ხიდის აფეთქებასთან ერთად გერმანელების ჯავშნიანი მანქანა და „ტანკეტი“ გაანადგურა.

...კარპატების მთებში ჟენია მძიმედ დაიჭრა. ის მამასთან ერთად თვითმფრინავით გადავგზავნეთ მოსკოვში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ვასილ მოსეს-ძე კუდრიავსკისაგან მეგობრული გრძნობით გამთბარი წერილი მივიღე. ახლა იგი იალტის ქალაქის მილიციის უფროსია. მისი ქალი ჟენია იქვე ქალაქის საბჭოში კადრებისა და სპეცგანყოფილების გამგეა. როგორც ვასილ მოსეს-ძე მწერს, მამა-შვილი თურმე ხშირად ავადმყოფობენ. ექიმების დასკვნით მათი ავადმყოფობა ძველი ჭრილობების გამოძახილია.

დავით ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

ჩემი თანაშემწენი

ანგარიშგება-არჩევნები უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში. იმაზე, თუ ვის ავირჩევთ აქტივის შემადგენლობაში, დიდადაა დამოკიდებული რაზმეულის მთელი შემდგომი მუშაობა. აქტივისტი პიონერი ყოველმხრივ სამაგალითო, ავტორიტეტული, ენერგიული უნდა იყოს. ჩვენც თბილისის ქალთა 6-ე სკოლაში რგოლის ხელმძღვანელებად, რაზმების საბჭოს თავმჯდომარეებად და წევრებად, რაზმეულის საბჭოს ღია კენჭის ყრით ავირჩიეთ ასეთი მოწინავე პიონერები.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლეთა ერიამული კიდევ დიდხანს გაისმის—მუშაობს პიონერთა რაზმეული, რომლის უმთავრესი ამოცანაა მოსწავლეთა ცოდნის გაფართოება, გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცება. VI რაზმში შეკრება პიონერებმა ზეპირი ანგარიშის ხერხებს მიუძღვნეს. სწავლაში წარმატებების მოსაპოვებლად დიდ მუშაობას ატარებს V რაზმის საბჭოც. ზოგიერთი პიონერი საშინაო დავალებებს არ ასრულებდა, ცდილობდა ამხანაგებისაგან გადაეწერა სამუშაო და მასწავლებელი შეცდომაში შეეყვანა. ზოგიერთ პიონერს ასეთი „დახმარება“ მეგობრობად მიაჩნდა და უარს არ ეუბნებოდა ზარმაცებს. აქტივისტებმა ნ. ბერაძემ, ნ. მარგველაშვილმა, ნ. ფანჩვიძემ ხმა აიმაღლეს პიონერთა ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. რაზმის საბჭოს ამ სხდომაზე აქტივისტებმა გადაწყვიტეს ჩამორჩენილებთან თვითონ იმეცადინონ.

რაზმეულის საბჭომ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით ჩაატარა თემატური შეკრებები საგურამოში, მცხეთასა და გორში.

საგურამოში ჩატარებულ შეკრებაზე ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებები წაიკითხეს მ. მინდაძემ, ლ. მჭედლიშვილმა, თ. კვაჭაძემ და ნ. ნაცვლიშვილმა. დიდი სტალინის ბიოგრაფიის შესწავლასთან დაკავშირებულ შეკრებაზე საინტერესო მოხსენებები იქნა წაკითხული. მხატვრული განყოფილებაც ჩატარდა. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ჩაჩიბაიამ, წევრებმა ლ. ამაღლობელმა, დ. უშვერიძემ, ნ. მჭედლიშვილმა და ნ. ბერაძემ ქსოვილზე დახატეს სახლი, სადაც დაიბადა დიდი ბელადი.

აქტივისტი პიონერების ნ. ნემსაძისა და დ. უშვერიძის ხელმძღვანელობით შექმნილია ელექტრო- და რადიოსაქმის შემსწავლელი წრეები, რომელთა წევრებმა პიონერთა ოთახში ელექტრო- და რადიოხაზი გამოიყვანეს.

რაზმეულის სამუშაო გეგმას უმთავრესად აქტივისტებისა და რაზმის ხელმძღვანელთა წინადადების მიხედვით ვადგენთ. მათ აზრს ვითვალისწინებ აგრეთვე ჩემი პირადი გეგმის შედგენის დროსაც.

აქტივზე დაყრდნობით, რაზმის ხელმძღვანელების, კლასის ხელმძღვანელებისა და სკოლის დირექტორის უშუალო მონაწილეობით მუშაობს ჩვენი რაზმეული.

ვ. მაისაია

თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

გიორგი კაჭახიძე

ბხატვარი გ. ჩირინაშვილი

ნინო მასწავლებელი

პოემა

I.

ზამთრის ჩუმი საღამოა,
ძაღლის ყეფაც არსად ისმის,
თოვს, და სოფელს მოჰფენია
ფანტელების თეთრი ნისლი;
თოვს გულუხვად, და ედება
არემარეს მკრთალად ბინდი,
ღამდება და ამ თოვაში
შარაგზაზე ეს ვინ მიდის?!
ჩაუარა გვერდით წისქვილს
მოუსვენარს, მუდამ ხმიანს;
აგერ გზიდან ერთ ეზოში
მან თამამად შეუხვია,
ფრთხილად მხარი აუქცია
ჩამოთოვლილ კაკლის ტოტებს,
სახლთან შედგა და ხმამაღლა
დაიძახა: — შინ ხარ კოტე?! —

ოდის კარი ახმაურდა,
გამოხედა ბიჭმა სტუმარს,
ნინო — კლასის ხელმძღვანელი —
რომ იხილა, შეკრთა უმალ.
უხერხულად მიეგება,
მიიწვია შინ აღმზრდელი
და აწეწილ თმაზე სწრაფად
გადაისვა ბავშვმა ხელი.
მშობლებს თვალი გადაავლო
და რა ეთქვა არ იცოდა.
უმცროსმა დამ — მარიკელამ
სტუმარს სკამი მიაწოდა.
ნინომ ტკბილად მოიკითხა
კოტეს დედა, კოტეს მამა,
თან მომღიმარს თოვლის ფიფქი
აღნებოდა წარბზე ნამად.
მასპინძლები გახალისდნენ,
გახალისდა მათი ოდა,
თუმცა გრძნობდნენ, მათთან სტუმარს
გასამხელი რაღაც ჰქონდა.

II

სოფლად ნინო მასწავლებელს
ვინ არ იცნობს, ვინ არ აქებს!
დაუქანცველს ეძახიან
და მას მართლაც უყვარს საქმე.

დასტრიალებს თავზე ბავშვებს
სიყვარულით, როგორც დედა.
აი, ახლაც მან მზრუნველის
თვალით კოტეს გადახედა:
— რად ხარ, ბიჭო, დარცხვენილი,
ან სახელო რად გაქვს სველი?
გაიხსენე, აბა, დღეს რა
ამოცანა აგიხსენით! —

კოტე მორცხვად ალუღლუღდა,
გაუჩერდა ლამის ენა...
დედამ უთხრა: — ესეც შენი
ცელქობა და თოვლში რბენა.
არ გვიჯერის, რა ექნა, ნინო,
ეს-ეს არის შინ დაბრუნდა;
წიგნის კითხვას ურჩევნია
ცელქობა და თოვლის გუნდა. —
ნინომ უცებ წარბი შეკრა:
— მე არ ვიცნობ კოტეს განა?!
ჩიტს ტოტიდან ჩამოიყვანს,
ეშმაკია იმისთანა.
ქუჩაში ხომ არ ისვენებს,
ეშმაკობას კლასშიც ბედავს.
გულახდილად უნდა გითხრათ,
არ ბეჯითობს, ცელქობს მეტად.
დღეს დაფაზე ამოცანას
ჩვეულებრივ ვწერდი, ვხსნიდი...
უცებ სარკმელს რაღაც მოხვდა,
ახმაურდა კლასი მშვიდი.
მივიხედე, და ბავშვები
აცეცებენ მაღლა თვალებს;
დავინახე, კლასში ჩიტი
საცოდავად დაფრთხიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა აროის?! — დავიძახე,
გაიხაბა კლასი უცებ.
— ვინ იგიჟა?! — აბა, ადგეს! —
ვხედავ, ყველა კოტეს უცქერს.
კოტეს ახლა მეც შევხედე,
ის ჯერ მერხზე გაირიხდა,
შეძდეგ ადგა და თქვა მორცხვად:
„ძაპატიეთ... გამიფრინდა...“
— გაგიფრინდა! — უმალ სახე
მოეღუშა კოტეს მამას, —
ამ ცელქობით იხდი, შვილო,
დედისა და მამის ამაგს?!
სახაძ გიხდა იცულლუტო,
რატომ გვარცხვენ, რად არ
სწავლობ?! —
კოტეს სახე აუწითლდა,
ძაძას თვალი გადაავლო:
— გამიფრინდა, თორემ ფრინველს
გავუშვებდი კლასში განა?!
ვიცი, შევცდი... ჩიტი კლასში
ძე არ უხდა შიმეყვანა.
— რა ვთქვა, შვილო! —
უთხრა დედამ, —
ცელქობისკენ გაქვს თვალ-ყური.
ძე შოთაზე არ ძსძენია
მასწავლებლის საყვედური.
ბეჯითობდა, კაცი გახდა,
შეხც ძმასავით იმალხაზე,
მოიხძარე ჩვენი ზრუნვა,
ფრთა გაშალე ქვეყანაზე. —
აძ დროს კოტე უხებლიეთ
შოთას სურათს დააცქერდა.
შოთა თითქოს დიხჯი მზერით
სურათიდან ძმას არცხვენდა.
ნინო კოტეს მიუბრუნდა:
— არ გიხდება განზე ცქერა.
ვის ემდური! შეძოგვხედე,
აწ იკმარე ეს შერცხვენა.
ნურსად შენს თავს საფრთხობელად
ნუ გაუხდი მალხაზ ჩიტებს.
დროზე კიდეც ითამაშე,
დროზე კიდეც იბეჯითე.
სასახელო უნდა იყოს,
წარმატებით ფრთაგაშლილი.
მოწინავე კოლმეურნე
დედისა და მამის შვილი. —
კოტე იდგა თავდახრილი,
მის სინანულს გრძნობდა ყველა.
კუთხეში კი წიგნს ფურცლავდა
მომღიმარი მარიკელა.

III

აღარ თოვდა... თხელ ღრუბლებში
თვალს ახელდა მთვარის ლანდი.
როცა ნინო კოტეს მამამ
მიაცილა მის ბინამდი.
მვილზე მზრუნველ მასწავლებელს
მან მადლობა უთხრა ტკბილი, —
გამობრუნდა და შინისკენ
მოწყენილი გაჰყვა ბილიკს.
გზაში დრო-დრო შუბლს უხსნიდა,
შუბლს მოღუშულს შვილზე ფიქრით,
ხის ტოტიდან ფრთაფარფატით
დაცემული თოვლის ფიფქი.

IV

ერთმანეთის სუნთქვა ესმით,
ყველას ხმა აქვს გაკმენდილი,
სიყვარულით, ერთი გრძნობით
კლასს იტაცებს გაკვეთილი.
სდუმს გარემოც... თოვს და
სარკმლებს
არ შორდება ნისლი მკრთალი,
მაგრამ ნათელს ჰფენს მალხაზებს
ნინოს სიტყვა, ნინოს თვალი.
დაფაზე კი მკვირცხლი ლეო
ციფრებსა წერს ისე სწრაფად,
თითქოს თოვლის ფანტელები
აწყდებიან მწყობრად დაფას.
ფრთაშესხმული ციფრის ენა
ყველა ბეჯითს კარგად ესმის.
დაფას უმზერს ახლა კოტეც,
თავს იკავებს, იცავს წესრიგს.
თავგასული მხოლოდ ერთი
მოღუღუნე ბუხარია,
ზამთრით საქმე რომ გაუჩნდა,
თავს იწონებს, უხარია.

აწ იკმარე ეს შერცხვენა

ძხიარულად სულ გიზგიზებს,
დუმილი და თვლემა არ სურს,
ცელქი კოტეს შესაცდენად
არ ანელებს ცეცხლი ტკაცუნს.
მაგრამ კოტეც დაფას უმზერს,
ყველას ხმა აქვს გაკმენდილი,
ერთი გრძნობით, ერთი ფიქრით
კლასს იტაცებს გაკვეთილი.

V

დღე მიიწურა. კვირაა,
სოფლად ისვენებს ყველა.
ქოხ-სამკითხველოს კიბეზე
ნინო ამოდის ნელა.
თოვლის ფარფატა ფიფქები
მხრებზე აცვივა თრთოლვით:
ჯერ აივანზე შეჩერდა,
ჩამოიბერტყა თოვლი,
მერე კარს მისწვდა და ოთახს
თვალი მოავლო ირგვლივ,
და იქ მყოფ კოლმეურნეებს
შეეხმატკბილა იგი:
— ადრე მოსულხართ, კარგია,
მგონი მე გაკლდით მარტო! —
დაჯდა, გაშალა გაზეთი
ქვეყნის მოამბე, ფართო.
გაესაუბრა მეზობლებს,
მუდამ მათ გვერდით მდგომი;
აგერ ახსენა მშვიდობა,
აგერ — დამრბევი ომი.
მშვიდობას ბურჯად უდგასო
ბრძენი სტალინი ჩვენი, —
ამბობს და გულით საუბრობს,
ვით აგიტატორს შვენის.
დიდი სიკეთის სინათლით
სიცოცხლედ ქცეულ სიტყვას
მშვიდობის მცველთა მხარდამხარ
მსმენელნი რაზმად მიჰყავს.
გარეთ ისევ თოვს, ეხვევა
ბაღს და შენობებს ბინდი,
კლუბის წინ ხალხი ირევა —
კინოსურათი მიდის.

VI

ცა ხან ბრაზობს, ხან იცინის,
ცვლის დროდადრო ავდარს დარი.
სამი დღეა ნინო არ ჩანს,
გაცივდა და ავად არის.
მოსწავლენი სწუხან გულით,
სურთ ნინოსთან იყონ ახლო;
შინ წასვლის დროს თამრიკომ თქვა:
— დღეს აღმზრდელი უნდა ვნახოთ.
— მეც ეს ფიქრი მქონდა, თამრო! —
მკვირცხლად ლეომ დაიძახა.
— ვნახოთ, ვნახოთ! ეამება
მასწავლებელს ჩვენი ნახვა. —
წინ წამოდგა და გოგონას
გაუცინა ვით ძმობილმა.
უცებ კოტეს გადახედა,
წამოდიო აგრძნობინა.
ამ დროს კოტეს შარაგზიდან
ზურგზე მოხვდა თოვლის გუნდა.
ცელქი მსროლელს გამოუდგა,
თქვა: — გადახდა დროზე უნდა. —
გაიქცა და, მალე გზაზე,
ვით სჩვევია თოვლს და ზამთარს,
ყმაწვილების მოსაწონი
გუნდაობა გაიმართა.
სიმკვირცხლე და აღტაცება
მოთამაშეთ დიდი ჰქონდათ,
და გუნდებიც იქით-აქეთ
ბურთებივით მიმოქროდა.
ბიჭუნებმა ბოლოს გული
გუნდაობით რომ იჯერეს,
ხელი თოვლით გათოშილი
უნებლიეთ შეაჩერეს.
კოტემ უცებ შუბლი შეკრა, —
გაახსენდა ლეო ახლა,
მიიხედა, მოიხედა,
მაგრამ ვერსად დაინახა.
— ეჰ, წასულან! — თქვა და გულში
ტკივილივით იგრძნო წყენა,
და ნინოსკენ წასულ ტოლებს
ფრინველივით დაედევნა.
მირბის კოტე, ეურჩება
დათოვლილი თეთრი შარა.
ბიჭს სირბილი უძნელდება.
ტოლები კი არსად ჩანან.
მიიჩქარის მაინც მკვირცხლად,
გზა და თოვლი თითქოს არ ღლის.
ოროობეში შეუხვია, —
ჰა, გამოჩნდა ნინოს სახლიც.
ტანსაცმელი შეისწორა,
სურს ეჩვენოს აღმზრდელს კარგად,
მაგრამ ჭიშკარს რომ მიადგა,
სითამამე დაეკარგა.
„რად მოვრბოდი! ჩემგან ნახვა
ეამება აღმზრდელს ნეტავ?!“
გაიფიქრა და ნინოსთან
მარტო შესვლა ვერ შებედა.
ავადმყოფთან მას ტოლებმა
რომ შეასწრეს, დასწყდა გული...
გამობრუნდა და შინისკენ
გზას გაუდგა შუბლშეკრული.

VII

ცივი ქარი ამოიჭრა,
ღრუბლები შორს გადაყარა;
ცამ ფანჯარა გააბრწყინა
ავადმყოფის გასახარად.
აგერ საწოლს მკრთალმა სხივმა
საალერსოდ მოატანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ნინო მასწავლებელს
სიხარული აკლდა განა?!
რა ხანია მალხაზებმა
ინახულეს, გაახარეს...
წავიდხენ და მათი ღიმი
სხივად დარჩა ჭერს და კარებს.
ნინოს ჩუმად ეღიმება,
ვით მშობელი ძათზე ფიქრობს;
მათი მკვირცხლი ლაპარაკი
ახლაც ტკბილად ესმის თითქოს.
ფიქრია თვალზე გაუბრწყინა
სიხარულის ცრემლი უცებ:
„ამ მალხაზებს რომ ვუცქერი,
წლები როგორ მომახუცებს!
სიყვარულით მოსილია,
ვიხც სიკეთეს თესავს ხალხში“.
და ამ გახცდის შუქი ნინომ
შეაფრქვია ღიმით ქმარ-შვილს.

მზე ჩავიდა. არემარეს
ბიხდით ძრრები დაუძძიმდა,
ღამდებოდა, და ოთახში
ელხათურა აციმციმდა.

VIII

ჟივჟივებენ ბეღურები,
ეზოს შვენის ლხენა მათი;
გვერდჩაძოშლილ თივის ზვინთან
არ ჩანს კოტეს კაკანათი.
ფერხულს უვლის გულწითელა,
ძოხდეხილად ზვინთან დახტის,
საკეხკს ეძებს, არ ეტყობა
ჰქოხდეს შიში, ჰქონდეს დარდი.
აგერ თვალი ეშმაკურად
ცელქ ბეღურებს დააჩერა:
უკვიროს, კოტე როძ ჩიტუნებს
აღაო დასდევს დასაჭეოად.
ჰე, რა იცის გულწითელაძ,
თუ რა ხდება კოტეს გულში,
საცუღლუტოდ, საეძაკოდ
ბიჭუკელას ხელს რა უძლის!
ჰე, ოა იცის გულწითელაძ,
რატოძ სდება კოტე დიიჯი,
ნიიოძ როგორ ეეაოცხვიია
ცუღლუტოიის გაძო ეიჭი!
პიოიეოთა ბეკრეაბზე
კოტეა ქცევა ოოგოო დაგმეს,
ოოგოო ცდილოის კოტე აილა,
როძ დაუდოა გული საკძეს;
სიხაოაცეა, უწეაობას
დაუხგრიოა საკძით ეუდე...
აი, ძიტოძ ზის და კოსტად
წიხ გაილილი წიგხი უდევს.
სურა ააძოს ძხოუიველ ეიობლებს,
დაეწაფოს ცოდხის წყაროს,
ბეჯითობით, კარგი სწავლით
აღმზრდელები გაახაროს.
მაგრამ აგერ მოენატრა
კვლავ ცელქებთან ხტომა, რბენა,
მოსაწყენად მოეჩვენა
წიგხთან ჯდომა, წიგნის ენა.
— ჯერ გაკვეთილს ხომ ვერ მოვრჩი!
არა, ეს რა გავიფიქრე?! —

ცელქი მსროლელს გამოუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს გულში, და კვლავ წიგნის
წასაკითხად ძალას იკრებს.
თავი კოხტად დაიჭირა
და გახაგრძობს დინჯად კითხვას;
თან ახარებს, რომ ახერხებს
წიგნთან ჯდომას ასე დიდხანს.
ფიქრის თვალით ნინოს ხედავს
ისევ მხნეს და ჯანით სავსეს;
აგერ თითქოს მასთან მოდის,
ხელს ღიმილით უსვამს თავზე.

IX

დილა არის, ზამთრის დილა,
მზიანი და მაინც ცივი.
ბროლის ბრწყინვას ჰგავს ყინულის
ლოლუებზე მზის ციმციმი.
მოსწავლენი ერთობიან,
ხიბლავთ დილის სილამაზე...
ეს ვინ არის, რომ გამოჩნდა
სკოლის ეზოს იქით გზაზე?!
თეთრი თავშლით თავშეფუთვნილს
აქვს ნაბიჯი ნელი, მტკიცე.
მალხაზები აჩურჩულდნენ,
მომავალი მყისვე იცნეს.
ფრთა შეესხათ, თითქოს უცებ
გაზაფხული დადგა სოფლად:
მიეგებნენ მასწავლებელს,
მიულოცეს კარგად ყოფნა.
მარჯვნივ თამრო, მარცხნივ ლეო
ამოუდგნენ აღმზრდელს გვერდით,
ნინომ ტკბილად გაიცინა:
— ნუ გგონიათ, რომ დავბერდი!
თმა თეთრდება, მაგრამ გულში
ისევ ღვივის სიყმაწვილე...
ხომ არ ცელქობთ, ან უჩემოდ
კლასში ხომ არ მოიწყინეთ?! —
ყველას რაღაც გამოჰკითხა,
გახალისდა მათი ხილვით;
ამ კარგებში კოტეც იდგა
მომღიმარი, თავდახრილი.
კოტეს ქცევამ ნინოს გულში
სიხარულად დაიბუდა,
გზა განაგრძო, და ბავშვები
ფრთაშესხმული გაჰყვნენ გუნდად.

X

ძერხებზე სხედან ბავშვები
ჩიტებად დაფრენილები.
ლხენით გიზგიზებს ბუხარიც.
შეორთქლილია მინები.
თვალს შემოაჭყეტს ხანდახან
მზე გულის გამხარებელი...
გიზგიზა ბუხრის მახლობლად,
დგას ნინო მასწავლებელი.
მეწითლებული თითები
აუწევიათ მალხაზებს.
მზეც თითქოს წასაქეზებლად
სხივს აციალებს დაფაზე.
კოტეც თითსა სწევს თამამად.
ბიჭი ბეჯითებს ედრება, —
და ნინოს თვალიც უეცრად
ღიმილით მასზე ჩერდება.
კოტე წამოდგა, გასწორდა,
თვალს ავლებს ტოლ-ამხანაგებს,
გადის დაფასთან, და ციფრებს
მწყობრად ციფრებთან ალაგებს.
აგერ შეჩერდა... აგერ კვლავ
განაგრძო, გაჰყვა ბოლომდი...
ნინოს ეამა და უთხრა:
— კარგია, ასეც ველოდი!
შენზე მე მითხრეს, დაგმოო
ჩიტების დევნა, ცელქობა...
ყოჩაღ! ცვლილება საქები.
აი, სწავლაშიც გეტყობა.
საქმეში წინ ვინ არ მიდის,
დრო განა დასაკარგია?!
ეცადე მომავალშიაც
ყოველთვის გითხრან: — კარგია!
ცოდნა წყაროა ანკარა,
არცოდნა — მღვრიე მორევი. —
კოტეს უცქერენ სიამით
თვალმოცინარე სწორები.
კოტე კი მორცხვობს, წითლდება,
ვარდი ეშლება სახეზე,
სურს უთხრას ნინოს მადლობა,
მაგრამ თქმას ვეღარ ახერხებს.
გრძნობს, ბეჯითობა მოსწავლეს
როგორ ახარებს, არგია,
და ფიქრობს ისე ისწავლოს,
ყოველთვის უთხრან: — კარგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

5328

დილის 7 საათია. გაისმა ზარის ხმა. კოჯრის მეხუთე საბავშვო სახლის დერეფნები გოგონების მხიარული ხმებით აივსო. ამ სახლში 168 გოგონა ცხოვრობს. გოგონების უმეტეს ნაწილს მშობლები სამამულო ომის დროს დაეღუპა. აქ ცხოვრობენ ბავშვები, რომელთა მამები გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად, ბავშვები, რომელთაც დედები და უფროსი და-ძმები ბომბარდირებისა და საარტილერიო სროლის დროს დაკარგეს. ამ ბავშვებმა ადამიანის ცხოვრების ყველაზე ადრეულ პერიოდში ნახეს სიკვდილის საშინელება, განიცადეს შიმშილი, უბედურება.

აქ იზრდება ორი უკრაინელი გოგონა, დები ანა და რაია ჩუმაჩენკოები. ისინი კრასნოდარის მხარის სოფელ ფარნაგორიიდან არიან. ბედნიერად და შეძლებულად ცხოვრობდა ჩუმაჩენკოების ოჯახი, საკოლმეურნეო შრომით მიღებული დოვლათი დღითიდღე ზრდიდა ოჯახის კეთილდღეობას...

დაიწყო სამამულო ომი. ოჯახის მამა და სამი ძმა სამშობლოს დასაცავად წავიდნენ და გმირულად დაიღუპნენ. გოგონებმა საკუთარი თვალით ნახეს, როგორ იწვოდა გერმანელების მიერ ცეცხლწაკიდებულ სახლთან ერთად მათი საყვარელი დედა.

ობლებს ძლიერმა და კეთილმა სამშობლომ გადააფარა თავისი მზრუნველი ხელი. 6 წელია ისინი კოჯრის საბავშვო სახლში იზრდებიან, თავიანთ მეგობრებთან ერთად ბედნიერად სწავლობენ და შრომობენ.

წინასწარ დადგენილი შინაგანაწესით ცხოვრობს საბავშვო სახლი. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის, ტუალეტისა და საუზმის შემდეგ პირველი ცვლის ბავშვები იქვე მახლობლად მდებარე საშუალო სკოლას მიაშურებენ, დახარჩენები კი სამეცადინო ოთახებში მიდიან და მასწავლებელ-აღმზრდელების მეთვალყურეობის ქვეშ მეცადინეობენ, ამზადებენ გაკვეთილებს, ასრულებენ საშინაო დავალებებს. გოგონებმა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სწავლას და სასწავლო წლის პირველი ნახევარი წარმატებით დაამთავრეს. მაგრამ გოგონები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. ახლა ისინი მთელი მონდომებით მეცადინეობენ, ეხმარებიან ჩამორჩენილ ამხანაგებს. ცდილობენ მესამე მეოთხედის ბოლოს არ ჰყავდეთ არც ერთი ჩამორჩენილი მოსწავლე.

მეცადინეობიდან თავისუფალ დროს დღის პირველი საათიდან ორ საათამდე გოგონები სამკერვალო სახელოსნოში ატარებენ. აქ ხელსაქმის მასწავლებლების ჩუხრიკიძისა და სტივის ხელმძღვანელობით სწავლობენ ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვას. სახელოსნოს კედლებზე გამოფენილია შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული მათი ნამუშევრები. ამ საქმეში განსაკუთრებული ბეჯითობითა და შესრულების ოსტატობით გამოირჩევიან მოსწავლეები დუნია კორობოვა, შურა პანტიგინა, რაია ჩუმაჩენკო, ოლია კოლესოვა და სხვები.

მრავალმხრივ საინტერესო მუშაობას ატარებენ ბავშვები საგნობრივ წრეებში. ლიტერატურული წრის სხდომებზე, რომელშიც გაერთიანებულია 45 ბავშვი, მოსმენილ იქნა მოხსენებები პუშკინის, ლერმონტოვის, ოსტროვსკისა და ჩვენი ეპოქის უნიჭიერეს

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის მაიაკოვსკის შემოქმედებაზე. განსაკუთრებული ინტერესით ჩატარდა დისპუტი საკითხზე „როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი“. ამ დისკუსიაში გოგონები ერთმეორეს უზიარებდნენ თავიანთ აზრს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ადამიანი. ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული შვილი. მათი გამოსვლებიდან აშკარა იყო, რომ მათ აერთიანებთ ერთი კეთილშობილური ნათელი მიზანი — გახდნენ სამშობლოსათვის სასარგებლონი. ასეთივე ინტერესით ტარდება მათემატიკისა და ქიმიის წრეების სხდომები.

ამ ბეჯით გოგონებს სწავლასა და შრომასთან ერთად მხიარული დასვენებაც უყვართ. აქ ჩამოყალიბებულია სიმღერიანი ორკესტრი, სიმღერისა და ცეკვის გუნდი. ისინი ხშირად აწყობენ შეხვედრებს მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, წარმოების მოწინავე ადამიანებთან. ამას წინათ აქ მოეწყო შეხვედრა პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილთან.

კოჯრის საბავშვო სახლში აღზრდილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არიან გაფანტულები. ზოგი მათგანი უკვე შეუდგა შრომითს საქმიანობას, ზოგი ჯერ კიდევ სწავლობს, მაგრამ ისინი არასოდეს არ ივიწყებენ თავიანთ მშობლიურ სახლს, თავიანთ პირველ აღმზრდელებს და ხშირად სწერენ მათ. საბავშვო სახლის დირექტორმა ვ. სიხარულიძემ გვიჩვენა თავისი ყოფილი აღზრდილების წერილები. ისინი სწერენ თავიანთ წარმატებებზე შრომასა თუ სწავლაში, სთხოვენ აღმზრდელებს მისწერონ თავიანთი უმცროსი დების ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანიც კი.

პიონერთა ოთახის დათვალიერებისას ვესაუბრე იქ მყოფ რამდენიმე გოგონას. ვთხოვე მათ ეამბნათ ჩემთვის რა მოხდა მათ ცხოვრებაში ამ უკანასკნელ ხანებში ყველაზე ღირსშესანიშნავი. ერთ-ერთმა მათგანმა, ქერათმიანმა გოგონამ, მე-8 კლასის ხუთოსანმა მოსწავლე ზინაიდა ბუროვამ მიამბო, რომ მისთვის და მისი მეგობრებისთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო, როდესაც ისინი დირექტორის მოადგილე ლიდია მიხაილოვასთან ერთად ბელადის სამშობლო ქალაქ გორში გაემგზავრნენ.

— ჩვენც აუცილებლად ვნახავთ ძია სტალინის სახლს. აი, გავიზრდებით, ბეჯითად ვისწავლით, უთუოდ წავალთ და ვნახავთ, — ამბობდნენ სახეგაბრწყინებული მეოთხეკლასელები.

მომავალი ბედნიერებისადმი ისეთი შეურყეველი რწმენა გამოსჭვიოდა მათ ხმაში, ისეთი საზეიმო გამომეტყველება ჰქონდა მათ სახეებს, რომ ამ სახეებისა და სიტყვების დავიწყება შეუძლებელია.

ბ. ბახტაძე

ა ნ ჩ ა რ ი

ანჩარის შესახებ ევროპელებმა დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ლეგენდებიდან იცოდნენ. ანჩარი მომაკვდინებელ ხედ ითვლებოდა. ეს მცენარე ზონდის კუნძულზე და ინდოჩინეთში იზრდება. პირველად XIV საუკუნეში იგი აღწერა პორტუგალიელმა ბერმა კატალონმა. მან ანჩარს „სიკვდილის ხე“ უწოდა, ამტკიცებდა — ყვავილობის დროს ანჩარი თავისი ხურნელით ჰკლავს ადამიანებსო. კატალონს არ ენახა ანჩარი, მან იგი სხვების ნათქვამით აღწერა. ანჩარი არ უნახავს 1780 წელს ინდოეთში ნამყოფ ექიმ ფურსაც, მაგრამ იგი მაინც, აღწერდა რა ანჩარს ინგლისურ ჟურნალში, იტყობინებოდა, რომ „სიკვდილის ხის“ თავზე გადამფრენი ფრინველები ეცემიან მისი შხამით მოწამლულები და არც ერთი მცენარე არ ხარობს იქ, სადაც ანჩარი იზრდებაო.

1804 წელს ანჩარი ნახა ფრანგმა ბოტანიკოსმა დე ლია გურმა. აღმოჩნდა, რომ ის ეკუთვნის იმ ოჯახს, რომელსაც თუთის ხე. მას მაღალი, სწორი ღერო აქვს, ხშირი და სქელი გვირგვინი. თუ ანჩარის კანს გავჭრით, იქიდან გამოჟონავს გამჭვირვალე შხამიანი წვენი. ადგილობრივი მცხოვრებნი ნადირობისას ამ წვენით შხამავენ ისრებს თავიანთი მშვილდისათვის. ყველაფერი დანარჩენი ამ ხის შესახებ მოჩმახულია: — ანჩარის ხშირ ფოთლებში არაიშვიათად ისმის ფრინველთა გალობა. ანჩარის ნაყოფი შხამიანი არაა, ხოლო თესლი ციებცხელებისა და დიზინტერიის განკურნებასაც კი შველის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვრის სათავისკენ

გიორგი შაგბერაშვილი

მხატვარი გ. რობინიშვილი

*მ ო თ ხ რ ო ბ ა**

მეწისქვილის ნათქვამი

ბანაკის შუაგულში, შემაღლებულ ადგილას, პიონერებს უზარმაზარი კოცონი გაეჩაღებინათ.

ცეცხლის პირას მოხუცი, თეთრწვერა კაცი იჯდა და რაღაცას ესაუბრებოდა ბანაკის ხელმძღვანელსა და ბავშვებს. ეს მოხუცი ახლომდებარე სოფლის მეწისქვილე იყო. წეღან თავის წისქვილიდან თვალი მოეკრა მტკვრისპირას აჟრიამულებული ბავშვებისათვის და ამ ბანაკის დასათვალიერებლად მოსულიყო.

სათნო და კეთილი სახე ჰქონდა მოხუცს. ახარებდა ბავშვების მხიარული ყიჟინი. ცეცხლიც ხალისიანად ტკაცუნობდა და ნათელს ჰფენდა პიონერების შეწითლებულ სახეებს.

ის-ის იყო მოხუცმა ხერთვისის ციხის ლეგენდა დაამთავრა, რომ სათევზაოდან დაბრუნებული ბავშვების ჟრიამულიც გაისმა. ყველაზე წინ ჩვენი ნაცნობი ცისფერთვალა გოგი მორბოდა. შუშის ქილა მაღლა აეწია და ყვიროდა:

— კალმახი, კალმახი დავიჭირე!

მერცხალას გული შიშით უცემდა და თავზარდაცემული ათვალიერებდა ცეცხლის ალით გაბუქებულ ბანაკს.

რახანია მშობლიური მტკვრის ნაპირს დაშორდნენ, მდინარის ხმაური ოდნავღა ისმოდა. რამდენი რამ განიცადა მტკვრის ნაპირს ქომორებულმა მერცხალამ გზაში. რაც უფრო წინ მიიწევდნენ მებადური ბიჭები, მით უფრო მეტი შიში და მოუსვენრობა იპყრობდა მას. თითქოს სიცოცხლეს შორდებოდა და სიკვდილს უახლოვდებოდა. გადარჩენის პატარა იმედიც კი ქრებოდა. ირგვლივ, ყოველ მხარეს, მცირე ჭალითა და ბუჩქნარით დაფარული ხმელეთი ჩანდა. ის მცირეოდენი წყალი, რომელიც მერცხალას გარს შემოსდგომოდა, სულს უხუთავდა, შიშს უფრო და უფრო უძლიერებდა.

„სული ამომხდება ამ სივიწროვეში“ — ფიქრობდა ის და გრილ მინას ეკვროდა. შემკრთალი ხან ცას შესცქეროდა, ხან იმ გზას გახედავდა, რომელსაც ბავშვები მიჰყვებოდნენ.

ბანაკში შესვლამ ხომ მთლად დააფეთა მერცხალა. წითელყელსახვევიანი ბავშვები გამორბოდნენ და თევზაობიდან დაბრუნებულ მეგობრებს ეგებებოდნენ.

ბავშვები ჯერ დიდ კალათს შემოესივნენ. მერე მერცხალას ქილას მიაშურეს, „კალმახი, კალმახი“, იძახდნენ ისინი და მერცხალას ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ეს უზარმაზარი, ცნობისმოყვარეობით აღსავსე თვალები კალმახს აფრთხობდა, ის ციებიანივით ცახცახებდა, კრთოდა და შუშის კედლებს აწყდებოდა.

— განი, განი, გზა მომეცით, კალმახი ჩემია, აუზში უნდა ჩავსვა! — ყვიროდა გოგი და ბანაკის შუაგულისაკენ მიიწევდა.

*) გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.

„ხელტაც აუზიდან თუ შეიძლება გაპარვა“ — ფიქრობდა მერცხალა და აუზში მალე მოხვედრა ენატრებოდა.

დილით საწისქვილე წყლის მახლობლად პატარა სათამაშო აუზი გაეკეთებინათ ბიჭებს, სწორედ ამ აუზში ჩასვეს მერცხალა. მერცხალამ შეინავარდა, გამოიცოცხლდა. მუშის ქილასთან შედარებით ეს პატარა გუბე უზარმაზარ ტბად მოეჩვენა.

— ხედავთ, როგორ გამოიცოცხლდა, რა სწრაფად დაცურავს! — კმაყოფილებით იძახდა გოგი და მერცხალას თვალს არ აშორებდა.

მაგრამ მერცხალას მხიარულება დიდხანს არ გაგრძელებულა. მზეზე გამთბარ წყალს უსიამოვნო გემო და მღვრიე ფერი ჰქონდა. მერცხალას ჰაერი არ ჰყოფნიდა, ძლივს სუნთქავდა, თიხის ვიწრო კედლებს აწყდებოდა და მაღლა ამოხტომას ლამობდა.

ტყვე კალმახის ირგვლივ შეკრებილთ მოხუცი მეწისქვილე მიუახლოვდა. ბავშვებმა პატივისცემით დაუთმეს გზა. მეწისქვილემ გუბეს ჩახედა, თიხის ლამში მინაბული კალმახი თვალით მოძებნა, ულვაშებში ჩაიცინა და ხმამაღლა წამოიძახა:

— ბავშვებო, კალმახი მთის მდინარეების თევზია, მას უყვარს ჩქარ, ანკარა წყალში ცხოვრება. აქ კალმახი ვერ გაძლებს. აი ნახავთ ორ-სამ დღესაც ვერ იცოცხლებს!

მერცხალას თითქოს ლახტი დაჰკრესო, ისე მოხვდა ეს სიტყვები. ის ელვის სისწრაფით გასხლტა და გუბის ნაპირს მიეხალა.

„ორ-სამ დღეში, ორ-სამ დღეში“ — ფიქრობდა იგი. „ნუთუ ორ-სამ დღეში მოვკვდები?“.

ბიჭები ჩაფიქრებული დასცქეროდნენ დაფეთებულ მერცხალას.

— ისე სწრაფია, რომ თვალს ვერ მოასწრებ! — ამბობდნენ კალმახის მოქნილობით მოხიბლული ბავშვები.

— კალმახი ყველაზე მარდია თევზებში... ხერთვისიდან თურქეთში ხელად გადავა. მტკვრის სათავეს მიაღწევს! — თქვა მეწისქვილემ და ხელი შორს, შორს, მტკვრის ხეობისაკენ გაიშვირა.

— შორს არის აქედან მტკვრის სათავე? — შეეკითხა მეწისქვილეს გოგი.

მოხუცმა ერთხანს იყუჩა, ამოიოხრა და ხელი კვლავ სამხრეთისაკენ გაიშვირა.

— აგერ იმ მთებს გადახვალთ თუ არა, საქართველოს მიჯნა თავდება და თურქეთი იწყება. ჩვენი მტკვრის სათავე ახლა თურქეთშია. უწინ კი იქაც საქართველო იყო. ვერაგმა თურქებმა წაგვართვეს ის მიწა-წყალი. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ამოწყვიტეს და გაანადგურეს!

მეწისქვილემ ხელი შორს, შორს, მტკვრის ხეობისაკენ გაიშვირა.

— ნუთუ სულ ამოწყვიტეს?

— არა, რამდენიმე ქართული სოფელი ახლაც არის მტკვრის სათავეში. მაგრამ ვაი იმათ ყოფნას!

მეწისქვილემ ხელი ჩაიქნია და ბავშვებს გამოეთხოვა.

გაისმა ზარის ხმა. ბავშვები საუბრით დაიშალნენ. გოგიმ თავის თმახუჭუჭა მეგობარს მკლავში ხელი მოსჭიდა და შეაჩერა.

კალმახი ნაპირთან მოცურებულიყო და გაყინული თვალებით შესცქეროდა ჩამავალი მთვარის სხივით გაშუქებულ ბავშვების სახეებს.

თმახუჭუჭა ბიჭი ჩაცუცქდა, კალმახს დააშტერდა და წაიჩურჩულა:

— ხედავ, ძლივსღა მოძრაობს, გაუშვი!

—არა, დილაზე წყალს გამოვუცვლი, გამოვაცოცხლებ, — ჯიუტად თქვა გოგიმ და კარვისკენ გაბრუნდა. თმახუჭუჭამ ხელი ჩაიქნია და გოგის უკან დაედევნა. თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა.

კეთილი ბიჭები

მერცხალას სევდით აუთრთოლდა გული. აი ახლა ალბათ სანადირიოდ დასრიალებენ კალმახები მტკვარში, დაცურავენ მთვარით გაშუქებულ გრილ ტალღებში და იქნებ დაკარგული მეგობარი აღარც კი ახსოვთ.

აქ კი რით უნდა გაიტანოს თავი მერცხალამ, რით უნდა იარსებოს. ირგვლივ წებოვანი თიხის კედლებია, მღვრიე წყალი.

მერცხალა მაღლა ამოცურდა, უნებურად გულალმა გადმობრუნდა, ხარბად ამოისუნთქა და მთვარეს მიაშტერა თვალები.

ალბათ სიკვდილი მოდის. მაშ რად დაუსუსტდა ფრთები, რატომ ვეღარ ამოძრავებს მათ ისე ღონივრად, როგორც წინათ, საიგაქრა მისი სიმკვირცხლე!

ბანაკი ძილს მოეცვა. კარვებიდან ბავშვების თავისუფალი წყნარი ფშვენა მოისმოდა. ზაფხულის ცელქი სიო არხევდა კარვის კალთებს და მძინარე ბავშვებს მზემოკიდებულ სახეზე ეალერსებოდა.

არ ეძინა მხოლოდ გოგის. დაწოლისას ერთი წუთით ჩასთვლემა და მაშინვე უცნაური რამ ესიზმრა. წამოჯდა, ვერ გაარკვია. ცხადში იყო თუ სიზმარში.

... მდინარის პირას ვიღაც ბიჭი იდგა. იცნო გოგიმ, ის მისი თმახუჭუჭა მეგობარი იყო. იგი მდინარეს გასცქეროდა და იღიმებოდა. ტალღებიდან ორ პატარა კალმახს ამოეყო თავი. ისინი მადლიერი თვალებით შესცქეროდნენ ბიჭს, უღიმოდნენ. თავს უქნევდნენ და ლოცავდნენ. მდინარის პირას მდგარი ხუჭუჭთმიანი ბიჭი უსაზღვროდ ბედნიერი ჩანდა, ხელს უქნევდა კალმახებს და კმაყოფილი იცინოდა...

ამ უცნაურმა სიზმარმა ძილი გაუფრთხო გოგის, თვალწინ დაუდგა პატარა, მღვრიე გუბეში მარტოდმარტო მიტოვებული კალმახი. გული სიბრალულით აევსო.

რა ბედნიერია ახლა ის ორი პატარა კალმახი!

ახლა ისინი თავისუფლად დასრიალებენ მშობლიურ მდინარეში და ტყვე მეგობარს სინანულით იგონებენ.

გოგი წამოხტა, რაღაცას ფეხი წამოჰკრა, რაღაც დაბრახუნდა. იქვე მწოლიარე თმახუჭუჭამ თვალი გაახილა და უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა:

— რა ამბავია, გოგი, რატომ არ გეძინება?

გოგიმ კარვის ფარდა გადასწია. გარეთ სიბნელე მეფობდა, მთვარე ჩასულიყო.

— წამოდი, — ჩურჩულით უთხრა გოგიმ ამხანაგს, — წამოდი, ჩემი კალმახი უნდა გავუშვა.

— არა, ხომ იცი, უნებართვოდ კარვიდან გასვლა ამ დროს არ შეიძლება!

— წავიდეთ ხელმძღვანელის კარავში... ნებას მოგვცემს.

ბიჭები კარვიდან სიბნელეში გავიდნენ. უცებ მეზობელ კარავთან ვიღაც შენიშნეს, რომელიც ელექტროფარნით გზას იშუქებდა და მათკენ მოდიოდა.

— ხელმძღვანელია...

გაისმა ჩურჩული სიბნელეში.

ბავშვები ხელმძღვანელისკენ გაეშურნენ და მის წინ დარცხვენილნი შეჩერდნენ.

როდესაც ხელმძღვანელმა ბავშვებისაკენ ლისწადილი გაიგო, კეთილად გაიღიმა, ... ვის კარავში შევიდა და მეორე ელექტროფარანი გამოიტანა.

ბავშვებმა ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადეს და გზას დაადგნენ.

მალე კალმახის გუბეს მიადგნენ და მისი ზედაპირი ელექტრონის შუქით გაანათეს.

მერცხალა მოულოდნელმა სინათლემ დაფრთხო.

— ნუ შფოთავ, კალმახო, ნუ... — ღიმილით ჩასძახა გოგიმ კალმახს.

მერცხალა მათ ფეხებთან, გუბის ნაპირას სიხარულით აფართქალდა. მას წეღანვე, როცა მათი ფეხის ხმა გაიგონა, გულმა უგრძნო, რომ მის თავს რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა.

გოგი დაიხარა და მერცხალას დახედა.

— ხედავ, გულიმა დაცურავს, ეს ცუდი ნიშანია.

— ნუღარ გავაწვალებთ, აგერ ის წისქვილის წყალი ქვევით ისევ მტკვარს უერთდება, გავუშვათ.

გოგი დაიხარა და მერცხალა ხელში აიყვანა. მერცხალამ სული განაბა. ბიჭი სიბრალულით დაჰყურებდა კალმახს და თავს აქეთ-იქით იქნევდა.

— როგორ დასუსტებულა საბრალო...

რამდენიმე ნაბიჯზე წისქვილის წყალი ქშუოდა. ბიჭები რუსკენ გაიქცნენ. გოგიმ ერთი კიდევ დახედა მერცხალას, მერე წყალში გადააგდო და მიაძახა:

— აბა, ჩემო კალმახო, წადი, შენც გაბედნიერდი!

მერცხალამ შეიფართხალა, გაინავარდ-გამოინავარდა და ისევ ნაპირთან მოცურდა.

— იქნებ მტკვრის სათავეს მიაღწიო და ჩვენი ძველი სამშობლო ნახო... სალამი გადაეცი ჩვენს დაჩაგრულს ძმებს, სალამი! — ჩურჩულებდა მდინარის პირას გაჩერებული ბიჭი.

მერცხალა უკვე თავისუფალი იყო, ის გამოაცოცხლა მტკვრის ტოტის სიგრილემ. ფრთები შეათამაშა და ბანაკისკენ მიმავალი ბიჭები გულში დალოცა.

ღონე და სიმხნევე დაუბრუნდა მერცხალას. მას მართლაც შეეძლო ახლა დაუსრულებლივ, თუნდაც მტკვრის სათავემდის ევლო.

მაგრამ გაიგნებს კი გზას?

(დასასრული იქნება)

სოლომონ პირველი

მეტად მძიმე ხანაში მოუხდა მეფობა ორ მეტად თავდადებულ და ქვეყნის მოამაგე პიროვნებას, — აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე მეორეს (1744-1798), ხოლო დასავლეთ საქართველოში (იმერეთში) სოლომონ პირველს (1752-1784).

ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს მეტად მძიმე ხარკს ახდევინებდა. სხვა სავალდებულო გადასახადთან ერთად იმერეთის მეფეს ყოველწლიურად 40 ქალ-ვაჟი უნდა გაეგზავნა ოსმალეთის სულთნისათვის. ეს მეტად მძიმე და დამამცირებელი ხარკი იყო ქვეყნისათვის. ამას ზედ ერთვოდა ტყვეთა გაყიდვა. ლეკთა რაზმები და თვით ოსმალებიც ქურდულად დაძრწოდნენ დასავლეთ საქართველოს სოფლებში ღამით თუ დღისით და იტაცებდნენ მცხოვრებლებს, რომლებიც ყანაში ან თავიანთ კარ-მიდამოში მუშაობდნენ. დღე მათ დაბურულ ტყეებში ანდა გამოქვაბულებში მალავდნენ, ხოლო ღამით საცალფეხო ბილიკებითა და მიუვალი გზებით გადაყავდათ ოსმალეთში და შემდეგ სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ.

გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი მთავარი და თავადი თავიანთ ყმებს ყიდდა ოსმალეთში. ასეთმა გარემოებამ გლეხობა და, საერთოდ, მუშახელი გაიჩანაგა, რამაც გამოიწვია ქვეყნის მეურნეობის დაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონმა გაითვალისწინა, რომელიც ქანებდა ეს მოვლენა უფსკრულისაკენ ქართველ ხალხს, და ტყვეთა გაყიდვას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. იგი თავდადებულ ბრძოლას აწარმოებდა ოსმალებისა და ლეკების თარეშის წინააღმდეგ. ამავე დროს ადგილობრივ თავადებს, რომელთაც შეამჩნევდა, რომ ისინი თავიანთ ყმებს ყიდდნენ, სასტიკად სჯიდა, მამულებს ართმევდა, ამდაბლებდა.

სოლომონ პირველის დიდი ამაგითა და ზრუნვით ქვეყანაში თითქმის მოისპო ტყვეთა გაყიდვა. ხალხმა შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა. ქვეყანამ მოშენება და მოღონიერება იწყო.

სოლომონ პირველის ღვაწლი მარტო ამით არ ამოიწურება. მან შესძლო დასავლეთ საქართველოს თავგასული და ურჩი მთავრები აელაგმა, შინაური შფოთი და მტრობა მოესპო, ქვეყანა შემოემტკიცებინა და ერთი ცენტრალიზებული ხელისუფლება შეექმნა.

სოლომონ პირველმა განამტკიცა სამეფოს შიგნით თავისი ხელისუფლება, შემდეგ შეეცადა ოსმალეთის უღლისაგან გაეთავისუფლებინა დასავლეთ საქართველო და შეეწყვიტა ხარკის ძღვევა. ამან გამოიწვია ოსმალეთის რისხვა და სულთანმა აუარებელი ჯარი ახალციხის მიდამოებით დასავლეთ საქართველოს შემოესია. სოლომონი მტერს ხრეხილის მიდამოებში დახვდა და სასტიკად დაამარცხა იგი.

მთელ თავის სიცოცხლეში სოლომონ პირველი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ოსმალეთის მიმართ. მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეორესთან ერთად რუსეთ-ოსმალეთის ომში (1768—74 წლებში). რუსი ჯარის დახმარებით სოლომონმა გარეკა დასავლეთ საქართველოდან უმთავრეს ციხეებში ჩამდგარი ოსმალეთის ჯარი.

სამშობლოს სიყვარულისა და ოსმალთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის ხალხმა მას სოლომონ დიდი უწოდა.

სოლომონი გარდაიცვალა 1784 წელს. ჯერ კიდევ ჭარმაგი. დაკრძალეს გელათს, მეფეთა სავანეში. მისი საფლავი ღელესაც დაცულია გელათის მთავარ ეკლესიაში.

ქეთევან წერეთელი

ლაზიანებული თვალი და მაგნეტი

ვ. ორლოვი

ვლადიმერ ორლოვს თავის წიგნში „გამომგონებლის საიდუმლოება“ მოჰყავს პატარა შემთხვევა, რომელმაც გამოგონების იდეა მისცა ახალგაზრდა ყმაწვილს. ამჟამად სოციალისტური შრომის გმირს, სტალინური პრემიის ლაურეატს, საბჭოთა მოტორების ცნობილ მშენებელს აკადემიკოს მიკულინს.

უბრალო, მაგრამ დამახასიათებელი მაგალითით ავტორი მიუთითებს მკითხველებს, რომ ხშირად ახალი, მეტად საჭირო გამოგონების იდეა და მისი გადაწყვეტა შეიძლება ყოველ დაკვირვებულ ადამიანს შემთხვევით შეხვდეს ცხოვრებაში—ახალგაზრდა იქნება ის თუ ხნიერი.

✦

რაც არ უნდა ვთქვათ, რაც არ უნდა ვიცინოთ, ცოტად თუ ბევრად გამომგონებლობაში მაინც არსებობს ბედი და მისი სავსებით უარყოფა არ შეიძლება.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი ნატკენი თვალის შესახებ.

დაახლოებით ორმოციოდე წლის წინათ მფრინავები მატარებლით მოგზაურობდნენ, ხოლო თავიანთი თვითმფრინავები მატარებლის სპეციალური ვაგონით გადაჰქონდათ.

იმ ხანებში ხალხი აეროდრომზე დადიოდა არა როგორც მგზავრი, არამედ როგორც მაყურებელი ცირკში.

თვითმფრინავები შორ მანძილზე ვერ დაფრინავდნენ. ისინი აეროდრომის თავზე ორიოდე წრეს აკეთებდნენ და მაშინვე დაბლა ეშვებოდნენ. ამას მაყურებელი აღფრთოვანებული ტაშით ხვდებოდა.

ფრენა იმ ხანებში საკვირველ საქმედ ითვლებოდა და მის საყურებლად სპეციალური ბილეთები იყიდებოდა.

განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა მაშინდელი რუსი ავიატორი უტოჩკინი.

ყოველი გაფრენის ბოლოს გადმოდიოდა თვითმფრინავიდან და მაყურებლებს ხელს ართმევდა. რასაკვირველია, ის იმ დროს ვერც კი ამჩნევდა ხალხში გარეულ გიმნაზიელს.

გიმნაზიელი გვარად მიკულინი იყო.

საუზმისათვის განკუთვნილ ფულს ეს გიმნაზიელი აგროვებდა და შემდეგ კი ამ თანხით ბილეთს ყიდულობდა, რომ უტოჩკინის არც ერთი გაფრენა არ გამოეტოვებინა. ის სიზმარშიც კი ხედავდა უტოჩკინს. აგროვებდა მის სურათებს და უტოჩკინს რომ ეთქვა მიკულინისთვის: „მიკულინო! შედი ჩემთვის ცეცხლში“, — ის შევიდოდა.

ერთხელ აეროდრომზე კინაღამ უბედურება მოხდა: ერთ-ერთი გაფრენის დროს თვითმფრინავის ძრავი გაჩერდა — მაგნეტომ უმტყუნა, თვითმფრინავი მიწისკენ წამოვიდა. მიკულინს ერთი წუთით გული შეუჩერდა. მაგრამ მფრინავმა მაინც მოახერხა თვითმფრინავის მშვიდობიანად დაშვება. ამ დღეს ხალხი აღელვებული დაიშალა.

ყველაზე ნაკლებად კი თვით უტოჩკინი ღელავდა. (წყეული მაგნეტო ხშირად ღალატობდა და ამიტომ ძრავის გაჩერება მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა). მიკულინი კი აღშფოთებული იყო. მას ფერი აღარ ედო. გული გამალებით უძგერდა, თითქოს სხვისი ფეხებით მიდიოდა, ვერაფერს ხედავდა გარშემო.

ფრთოსან გმირზე ოცნება იტაცებდა მას, მიაქროლებდა სივრცეში.

აი, თითქოს ისინი მიფრინავენ არაჩვეულებრივი მანქანით, უტოჩკინი და ის — მიკულინი, გიმნაზიელი... გიმნაზიელმა მიკულინმა გამოიგონა ჯადოსნური მაგნეტო, რომელიც არასოდეს არ ღალატობს. ეს მაგნეტო მან მიართვა უტოჩკინს. ამას მთელი ხალხი ხედავდა და მათ წინაშე მას — გიმნაზიელს გმირმა ხელიც კი ჩამოართვა.

მოსახვევში ღმუილი გაისმა. მიკულინი გამოერკვა. გვერდზე გაიხედა. მოსახვევიდან მისკენ ვეება კაცი მორბოდა. ზედ მიადგა. მთვრალი სახე მიკულინის სახეს მიუახლოვა.

ჩააშტერდა. ერთი თვალი ნაცემი და დალურჯებული ჰქონდა, მეორე კი შემაძრწუნებელი ღიმილით მისჩერებოდა მიკულინს. უცებ ჭაბუკმა პირი იბრუნა და ქუდმოგლეჯილი გაიქცა. ის შიშისაგან კი არ გარბოდა, უეცარმა აზრმა გაუელვა, ფრთები შეასხა.

ეი მოედანიც, მეეტლეები, ჩირაღდნებით განათებული კარები — სასტუმრო „ანგლეტერი“. „სად ცხოვრობს უტოჩკინი?“ — ქშენით ეკითხება ის კარისკაცს.

— ზემოთ. — უთხრა დერეფანი და ოთახის ნომერიც.

მიკულინმა კიბე აირბინა... კარი გამოაღო და კინაღამ გაგვლდა, — დიდი გმირი მისგან ორ ნაბიჯზე იდგა.

— ადამიანს ორი თვალი აქვს! — წაილუღლუღა გიმნაზიელმა, — დაუზიანე მარცხენა — მარჯვენა მაინც გამოიყურება.

გიმნაზიელი გიჟს ჰგავდა.

— მე თვალის გამოთხრას არავის ვუპირებ, — თქვა მკაცრად უტოჩკინმა.

— არა... — იყვირა გიმნაზიელმა, — ეს ასე არ მინდოდა მეთქვა! თქვენს მანქანაზე ერთი მაგნეტოა... დადგით ორი! ერთი გამოვა მწყობრიდან, მეორე იმუშავებს!

ავიატორმა გიმნაზიელს მხრებში ხელი მოჰკიდა, ჩააშტერდა თვალებში.

— შესანიშნავი აზრია! — თქვა მან.

ფრენის პირობები გაუმჯობესდა. უტოჩკინი მოგზაურობდა სხვადასხვა ქალაქში თავისი თვითმფრინავით. ყოველი გაფრენის შემდეგ გიმნაზიელს ფოსტით პრემიას უგზავნიდა — ათ მანეთს.

მიკულინისათვის ეს პირველი პრემია იყო ავიაციაში, პირველი გამოგონებისათვის. ამჟამად აკადემიკოსი მიკულინი შრომის გმირია. შემთხვევამ — ჩალურჯებულმა თვალმა — მისცა მას იდეა გამოგონებისათვის.

თარგმანი ა. კარბელაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი ინვის

მაყურებლის თვალწინ შენ ასხამ ჩვეულებრივ წყალს ჯამში. ჰატარა მაშურათი იღებ მუხუდოს მარცვლის სიდიდის ლითონ ნატრიუმს და აგდებ წყალში. უცებ იფეთქებს ნამდვილი ალი! — ნატრიუმი წყალში გამოყოფს წყალბადსა და ბევრ სითბოს, ამ სითბოსაგან კი ალდება წყალბადი.

ნატრიუმი მასწავლებელს სთხოვე. გაწმინდე იგი ჟანგისაგან, რაც ნატრიუმს ჰაერში ედება. როცა მას წყალში აგდებ, ნუ დაიხრები სახით ჯამზე.

კვამლი უცეცხლოდ

მაგიდაზე დგას ‘მუყაოს ნაჭრებით დახურული ორი ჭიქა. აიღერა მუყაო, შენ უჩვენებ მაყურებელს, რომ ორივე ჭიქა ცარიელია. მერე სწრაფად ხურავ ერთ ჭიქას მეორე ჭიქით. მალე შიგ ბოლქვად ავარდება სქელი თეთრი კვამლი.

საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ შენ წინასწარ ქიმიურ კაბინეტში ერთი ჭიქა მარილმჟავაში ამოავლე, ხოლო მეორე ჭიქა— ნიშადურის სპირტში. მათი ორთქლის არევისაგან შეექმნა ნიშადურის წვრილი კრისტალები, რომელიც კვამლს მოგვაგონებს.

რას გვასწავლიდა მ. ი. კალინინი

საბჭოთა სახელმწიფოსა და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, მხცოვან ბოლშევიკს მ. ი. კალინინს მხურვალედ უყვარდა საბჭოთა ახალგაზრდობა. იგი ხშირად ხვდებოდა ახალგაზრდობას და ხალისით უზიარებდა თავის მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ღრმა ბოლშევიკურ სიბრძნეს. თავის მხრით, საბჭოთა ახალგაზრდობასაც უსაზღვროდ უყვარდა კალინინი და თავის საყვარელ მასწავლებლად და მეგობრად მიაჩნდა იგი.

რას ასწავლიდა მიხეილ ივანეს-ძე ახალგაზრდობას?

უწინარეს ყოვლისა, მისი რჩევა და სურვილი იყო ახალგაზრდობა დაუფლებოდა მეცნიერებას, ესწავლა კარგად, გატაცებითა და შეუპოვრად. „ამხანაგებო! — მიმართავდა იგი მოსკოვის საშუალო სკოლების მოსწავლეთა ერთ-ერთი თათბირის მონაწილეთ, — მე, ისე როგორც თქვენ ყველას, არ შეიძლება მქონდეს სხვა სურვილები, გარდა იმისა, რომ თქვენ კარგად ისწავლოთ, ეს საერთო სურვილია, დედებისა და მამების სურვილი, მთავრობის, პედაგოგების, უფროსი თაობის სურვილი“.

მიხეილ ივანეს-ძეს სკოლა იმ ერთადერთ ადგილად მიაჩნდა, სადაც ახალგაზრდობა ეჩვევა სისტემატურ მუშაობას და ღებულობს სისტემატიზებულ ცოდნას. სხვა გზით, სკოლის გარეშე მიღებულ ცოდნას კალინინი ნაკლოვან, არა სისტემატიზებულ ცოდნად სთვლიდა. ამიტომ იგი ახალგაზრდობას აფრთხილებდა: „ვინც არ გაივლის სკოლას, მას გაუჭირდება ცხოვრებაში, მას გაუჭირდება მუშაობა, ეს ნაკლი, ე. ი. სისტემატიზებული ცოდნისა და სისტემატური შრომის ჩვევების უქონლობა ყველგან და ყველაფერში იჩენს თავს, ყველგან აგედევნება კვალდაკვალ, როგორც აჩრდილი“.

კალინინი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მომავალში მხოლოდ იმ ადამიანს ექნება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელობა, ვინც გამოიჩენს უნარს იმუშაოს სისტემატურად და საქმის ცოდნით. ის ადამიანები კი, რომელნიც ბრწყინავენ გარეგნული და ზერელე კულტურულობით, რომელთაც ცოტა-ცოტა ყველაფერი იციან, საფუძვლიანად კი არაფერი, საბჭოთა საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ვერ შეასრულებენ რაიმე მნიშვნელოვან როლსო. მიხეილ ივანეს-ძე ასეთ ადამიანებს ონეგინის ტიპის ადამიანებს უწოდებდა.

ამგვარად, მიხეილ კალინინი ახალგაზრდობას ურჩევდა დაუფლებოდა მეცნიერებას, ესწავლა შეუპოვრად, სკოლაში მიეღო სისტემატიზებული ცოდნა და სისტემატური მუშაობის ჩვევები.

შემდეგ კალინინი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ეცხოვრა დიდი, იდეური ცხოვრებით, ეცხოვრა და ეშრომა ისე, როგორც ცხოვრობდა და შრომობდა დიდი ლენინი, როგორც ცხოვრობს და შრომობს დიდი სტალინი. ასეთ ცხოვრებას იგი მთელ დედამიწაზე ყველაზე საინტერესო ცხოვრებად სთვლიდა.

როგორ ესმოდა მიხეილ ივანეს-ძეს დიდი, იდეური ცხოვრება? რას გულისხმობდა იგი ამ სიტყვებში? აი რას: „იცხოვრო დიდი, იდეური ცხოვრებით, — განუმარტავდა იგი ახალგაზრდობას, — ეს ნიშნავს იცხოვრო შენი დროის ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული კლასის საზოგადოებრივი ინტერესებით, ამჟამად კი — საბჭოთა ხალხის, სოციალისტური სამშობლოს ინტერესებით;



თუ თქვენ იცხოვრებთ ამგვარი ინტერესებით, თუ თქვენი ყველა აზრი მიმართული იქნება იქითკენ, რომ კიდევ უფრო განადიდოთ თქვენი ხალხი, კიდევ უფრო აამაღლოთ თქვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, თუ თქვენ მთელ ძალღონეს მოახმართ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლას და ეს დიადი იდეა უმთავრესი იქნება თქვენს შეგნებაში, მე ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ ნამდვილად იცხოვრებთ დიდი ცხოვრებით".

დიდ, იდეურ ცხოვრებაში პრაქტიკული ჩაბმისათვის მიხეილ ივანეს-ძე კალინინი ახალგაზრდობას ურჩევდა კარგად დაუფლებოდა სასწავლო პროგრამის სამ საგანს. ამ სამი საგნიდან იგი პირველ რიგში მშობლიურ ენას ასახელებდა. რატომ მშობლიურ ენას? ამ კითხვაზე მიხეილ ივანეს-ძე ასე უპასუხებდა: „მშობლიური ენის შესწავლა — ეს უდიდესი საქმეა. ადამიანის აზროვნების ყველაზე უმაღლესი მიღწევები, ყველაზე უდიდესი ცოდნა და ყველაზე მგზნებარე გრძნობები ადამიანებისათვის უცნობი დარჩება, თუ ისინი ნათლად და ზუსტად არ იქნა გაფორმებული სიტყვებით: ენა — ეს აზრის გამოსათქმელი იარაღია.

... აი რატომ ვლაპარაკობ, რომ მშობლიური ენის ცოდნა — ეს ყველაზე ძირითადია, რაც საჭიროა თქვენი შემდგომი მუშაობისათვის".

მეორე საგნად, რომელიც ახალგაზრდობას ეგრეთვე პირველ რიგში უნდა შეესწავლა დიდ, იდეურ ცხოვრებაში ჩაბმის ძიებით, ძიხეილ ივანეს-ძე მათემატიკას ასახელებდა.

„რა მეცნიერებასაც არ უნდა შეხვიდეთ, — ამბობდა მ. ი. კალინინი, — რომელ უმაღლეს სასწავლებელშიც არ უნდა შეხვიდეთ, რა დარგშიც არ უნდა იმუშაოთ, თუ თქვენ იქ რაიმე კვალის დატოვება გინდათ, ამისათვის ყველგან საჭიროა მათემატიკის ცოდნა. და რომელი თქვენგანი არ ოცნებობს ახლა გახდეს მეზღვაური, მფრინავი, არტილერისტი, კვალიფიციური მუშა ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, მშენებელი, მეტალურგი, ზეინკალი, ხარატი და სხვა, გამოცდილი მემინდვრე, მეცხოველე, მებაღე და სხვ., გზის სპეციალისტი, ორთქლმავლის მემანქანე, ვაჭრობის მუშაკი და სხვ. მაგრამ ყველა ეს პროფესია მათემატიკის კარგ ცოდნას მოითხოვს. და ამიტომ, თუ თქვენ გინდათ მონაწილეობა მიიღოთ დიდ ცხოვრებაში, დაეუფლეთ მათემატიკას, სანამ ამის საშუალება გაქვთ. იგი შემდგომ უდიდეს დახმარებას გაგიწევთ ყოველ თქვენს მუშაობაში".

მესამე აუცილებელ საგნად მიხეილ ივანეს-ძეს ფიზკულტურა მიაჩნდა. „რატომ დავაყენე ფიზკულტურა რუსული ენისა (ე. ი. მშობლიური ენის. ა. ბ.) და მათემატიკის გვერდით? რათ მიმაჩნია იგი სწავლებისა და აღზრდის ერთ-ერთ ძირითად საგნად?" — კითხულობდა მიხეილ ივანეს-ძე და იქვე უპასუხებდა: „პირველ რიგში იმიტომ, რომ მე მინდა თქვენ ყველანი ჯანსაღი საბჭოთა მოქალაქენი იქნეთ. თუ ჩვენმა სკოლამ გამოუშვა ნერვებგაფუჭებული და კუჭაშლილი ადამიანები, რომელთაც ყოველწლიურად დასჭირდებათ კურორტებზე მკურნალობა, ეს რაღა გამოვა? ასეთ ადამიანებს გაუჭირდებათ ბედნიერების პოვნა ცხოვრებაში. აბა, რა ბედნიერება უნდა იქნეს, თუ კარგი, მაგარი ჯანმრთელობა არა გაქვს?

მეორე მხრივ, მე ვლაპარაკობ ფიზკულტურის შესახებ, იმიტომ, რომ მინდა ჩვენი ახალგაზრდები მარჯვე და ამტანნი იქნენ".

მაგრამ ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მიხეილ ივანეს-ძე ახალგაზრდობას ურჩევდა მხოლოდ და მხოლოდ ამ სამი საგნის შესწავლას, ასეთი დასკვნა ძლიერ შემცდარი იქნებოდა. მიხეილ ივანეს-ძე ახალგაზრდობას აფრთხილებდა: „ამხანაგებო, როდესაც მე გელაპარაკებით რუსული ენის (რუსულ ენაში მ. ი. კალინინი მშობლიურ ენას გულისხმობს), მათემატიკისა და ფიზკულტურის შესახებ, ამით სრულიადაც არ მინდა სასკოლო სწავლების სხვა საგნების მნიშვნელობის დამცირება. მაშასადამე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეგიძ-

ლიათ უყურადღებოდ მიატოვოთ ყველა დანარჩენი საგანი. ამ სამ საგანზე მხოლოდ იმიტომ შევჩერდი, რომ მე ეს საგნები მიმაჩნია ბაზად, რომელიც ყველა სხვა საგნის შეთვისებას გაგიადვილებთ და საშუალებას მოგცემთ დიდ ცხოვრებაში შეხვიდეთ".

ამგვარად, დიდ, იდეურ ცხოვრებაში შესვლა და ამ მიზნით პირველ რიგში სასწავლო პროგრამის სამი საგნის — მშობლიური ენის, მათემატიკისა და ფიზკულტურის ღრმა, საფუძვლიანი დაუფლება, რომელთა ბაზაზედაც შესწავლილი უნდა იქნეს არანაკლები სიღრმითა და საფუძვლიანობით სასკოლო პროგრამის სხვა დანარჩენი საგნებიც.

ასეთი იყო მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მეორე ფრიად მნიშვნელოვანი და სერიოზული რჩევა-დარიგება ახალგაზრდობისადმი.

გარდა აღნიშნულისა, მიხეილ ივანეს-ძე ურჩევდა ახალგაზრდობას ყრმობის ასაკიდანვე განესაზღვრა თავისი ცხოვრების გზა, ე. ი. ამოერჩია პროფესია, გამოემუშავებინა საკუთარი ხასიათი, ნებისყოფა და მსოფლმხედველობა. იგი მოითხოვდა თითოეული ახალგაზრდა ადამიანი ფრთხილად და სერიოზულად მოპყრობოდა ამ დიდ საქმეს.

მ. ი. კალინინი ურჩევდა ახალგაზრდებს: პროფესიის არჩევის დროს მხედველობაში მიეღოთ ის ფაქტი, რომ ისინი არიან მოქალაქენი საბჭოთა ქვეყნისა, რომელიც გარემოცულია მტრებით; რომ მათ მოუხდებათ უფრო მძიმე და სასტიკი ბრძოლის გადატანა, უფრო ძლიერ და ცბიერ მტრებთან, ვიდრე ეს ძველ თაობებს მოუხდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გადამწყვეტ შეტაკებაში მივაღწიოთ გამარჯვებასო, — არიგებდა მიხეილ ივანეს-ძე ახალგაზრდობას,—„აუცილებელია საკუთარი ხასიათის, საკუთარი ნებისყოფის გამოწრთობა ყოველდღიურ ბრძოლაში. ამისათვის აუცილებელია ზუსტად განსაზღვრო შენი ადგილი სოციალისტურ მშენებლობაში. ზედმიწევნით დაეუფლო შენი ცხოვრების არჩეულ საქმეს".

ამასთანავე, მიხეილ ივანეს-ძე ხაზს უსვამდა იმ დიდ როლს, რომელსაც თამაშობს გარკვეული პროფესია, მტკიცე ხასიათი, ნებისყოფა და მსოფლმხედველობა ადამიანთა პირად ყოფა-ცხოვრებაში. ასეთ ადამიანსო, — ამბობდა იგი, — უფრო გაუადვილდება ყოველგვარი უბედურებისა და დრამის გადატანა, ვიდრე ისეთ ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია გარკვეული იდეა, მოწოდება და გარკვეული პროფესია ცხოვრებაშიო.

ასეთი იყო მესამე შესანიშნავი რჩევა-დარიგება მიხეილ ივანეს-ძე კალინინისა ახალგაზრდობისადმი.

მიხეილ ივანეს-ძეს კიდევ სხვა მრავალი საჭირო რჩევა-დარიგება მიუცია ახალგაზრდობისათვის, რომელთა შესწავლა დიდად დაეხმარება ჩვენს ბეჯით პიონერ-მოსწავლეებს.

ალ. ბილანიშვილი



ხორბალი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი, ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურაა. ქართველი ერი ხორბალს დასაბამიდანვე თესავდა და თესავს. გლეხკაცმა კარგად იცოდა და იცის, რომ პურეულის მარცვალი ადამიანის ყოველდღიური და ამასთან აუცილებელი, ძირითადი საზრდოა.

მრავალფეროვანია ხორბლის გამოყენება, მისგან ბევრი სხვადასხვა ნაწარმი მზადდება. ამიტომ ხორბალს მარცვალთა შორის ყოველთვის პირველი ადგილი ეჭირა.

მაგრამ ხორბალი ჩვენში არასოდეს ისეთი ყურადღებით არ სარგებლობდა, როგორც ახლა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ბოლშევიკების პარტიის, დიდი სტალინის განუწყვეტელი მზრუნველობით ჩვენში ყოველწლიურად იზრდება ხორბლის ნათესი ფართობი და მოსავლიანობა. იხვნება და ითესება სულ მეტი და მეტი მიწები, ფართოდ ინერგება ხორბლის შემოწმებული და უხვმოსავლიანი ჯიშები, უმჯობესდება ნათესების მოვლა. ამის შედეგია, რომ თითოეულ ჰექტარზე 20-30 ცენტნერი და მეტი მარცვლის მიღება ახლა იშვიათი არ არის.

დიდი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ საქართველოს მშრომელებს ამოცანად დაუსახა უახლოეს დროში უზრუნველყონ რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკუთარი მარცვლეულით, ფართოდ გაავრცელონ ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიში, როგორიცაა დოლის პური და სხვა ჯიშები.

რით არის დოლის პური საყურადღებო, რა ძვირფასი თვისებები აქვს მას?

დოლის პური ხორბლის საშემოდგომო უძველესი ადგილობრივი, ქართული წამყვანი ჯიშია. იგი წარსულშიც გავრცელებული ყოფილა ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭაში, სვანეთშიც კი. ამიტომ არის, რომ თანდათანობითი შერჩევით და გამრავლებით ამჟამად ჩვენში გვხვდება „ქართლური თეთრი დოლი“, „თიანეთური დოლი“, „ტყის დოლი“, „კახური დოლი“, „წითელი დოლი“, „ქართლური წითელი დოლი“, „მესხური დოლი“ და სხვ.

მათში მთავარია თეთრი დოლი, რომელიც ჩვენში საშემოდგომო ხორბლის კულტურის საფუძველია. როგორც თეთრი დოლის, ისე მის სახესხვაობათა ძირითადი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ კარგად იტანენ ჩვენი ქვეყნის შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის პირობებს, კარგად ვითარდებიან და უხვ მოსავალს იძლევიან.

თეთრი დოლი, ანუ „დოლის პური“, თეთრთავთავიანი, ფხიანი, შეუბუსავი და მოწითალომარცვლიანია. თავთავის სიგრძე 7-10 სანტიმეტრია. მარცვალი საშუალო ზომისაა, მოგრძო-ოვალური, 1.000 ცალი 29-30 გრამს იწონის. საშუალო საადრეო ჯიშია. ზამთარს კარგად იტანს ზღვის დონიდან 1.000-1.200 მეტრამდე. მარცვალმა ჩაცვენა თითქმის სრულიად არ იცის. მდიდარია ცილოვანი ნივთიერებებით და წებოგვარათიც. მისი ფქვილი თეთრია, ფხვიერი, ცომი — ძარღვიანი. ცხობის ნამატი 45 პროცენტს აღწევს. მოსავლიანობის მხრივაც თეთრ დოლს ქართლში მეტოქე არ ჰყავს.

თიანეთური დოლი ქართლის თეთრი დოლისაგან უმთავრესად იმით განსხვავდება, რომ სიცივისა და ტენის უფრო ამტანია,

აქვს ღონიერი, მაღალი უხეში ჩალა. მისი მარცვალი უფრო მსხვილია. ძირითადად გავრცელებულია ერწო-თიანეთში.

ტყის დოლიც შედარებით მეტი ტენიანობისა და გრილი ჰავის მოყვარულია. მცენარე საშუალო ან საშუალოზე მაღალია. ჩალა შედარებით მსხვილი და მაგარი აქვს, თავთავი დიდი და მრავალმარცვლიანი. ბევრი ითესება დუშეთისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

თეთრი დოლისავე, სახესხვაობაა კახური დოლი, რომელსაც ახასიათებს მაღალი და ღონიერი ღერო, დიდი თავთავი, უხეში და გრძელი ფხა, მსხვილი მარცვალი. უყვარს ნოყიერი ნიადაგი. გავრცელებულია თითქმის მთელ კახეთში.

ჩვენებური თეთრი დოლისაგან მიღებულია აგრეთვე გაუმჯობესებული ახალი ჯიშები „დოლის პური 35-4“ და „დოლის პური 018-46“. პირველი განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა სამხრეთ ოსეთში და ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, საგარეჯოს რაიონებისა და თბილისის გარეუბნის ურწყავ პირობებში. მეორე კი ძირითადად — გორის, თეთრი წყაროს, ბორჩალოსა და საგარეჯოს რაიონებს ურწყავ ზოლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქათველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა 1950 წლის ოქტომბერში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნა, რომ თუმცა დოლის პური ფრიად ძვირფასი ჯიშია, საჭიროა მისი შემდგომი გაუმჯობესება, ყველა ნაკლის გამოსწორება. დოლის პურის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მან ჩაწოლა იცის და ძნელი გასალეწია.

ამხანაგმა ჩარკვიანმა ამოცანად დაგვისახა განვაგრძოთ მუშაობა იმისათვის, რომ დოლის პურის ბაზაზე გამოვიყვანოთ ხორბლის ახალი, დოლის პურზე უფრო უხვმოსავლიანი, ჩვენს პირობებთან ამ ჯიშივით შეგუებული, მაგრამ მისი ნაკლისაგან თავისუფალი ჯიშები.

ეჭვი არ არის, რომ ამხანაგი ჩარკვიანის ეს დავალება წარმატებით იქნება შესრულებული.

აგრონომი ჯ. თოდრაძე



ARACHVEULEBRIVI SICIVE

ერთხელ, გასული საუკუნის შუაწლებში, სამხედრო ტანსაცმლების საწყობში მოიტანეს კალას ღილების პარტია. ეს ღილები განკუთვნილი იყო ჯარისკაცთა მუნდირებისათვის. მაგრამ როცა მუნდირები მოამზადეს, ღილების ადგილას იატაკზე იდო ნაცრისფერი ქვიშის ზვინი. სად გაქრა ღილები? თურმე კალამ ველარ გაუძლო სიცივეს და ნაცრისფერ ფხვნილად გადაიქცა.

ტემპერატურის ცვლილებისას ბევრი ნივთიერება იცვლის არა მარტო სახეს, არამედ თვისებებსაც. კალა ელექტრობის კარგი გამტარია, მაგრამ სიცივეში ფხვნილად გადაქცეული იგი უკვე აღარაა ელექტრობის გამტარი. ჩვენთვის ცნობილია, რომ სამყაროში არსებობს ბევრად უფრო დაბალი ტემპერატურა, ვიდრე დედამიწაზე, სადაც 69 გრადუსზე დაბლა ყინვა არ მდგარა. პლანეტა იუპიტერზე კი, მაგალითად, საშუალო ტემპერატურა მინუს 140 გრადუსს უდრის. როგორი ახალი თვისებები ჩნდება სხვადასხვა ნივთიერებებში ასეთი სიცივის დროს? ამ საკითხმა დაინტერესა მეცნიერები. მაგრამ ასეთი სიცივის მიღება ლაბორატორიაში დიდხანს ვერ შეხძლეს. ხოლო როცა შესაძლებელი გახდა აირების—ჰაერის, წყალბადის — სითხედ გადაქცევა, მსგავსი სიცივე მიღებულ იქნა. თხევადი ჰაერის ტემპერატურა მინუს 194 გრადუსია, ხოლო თხევადი წყალბადი უფრო ცივია. ისარგებლეს რა ამ თხევადი აირებით, მეცნიერები შეუდგნენ იმის შესწავლას, თუ რა თვისებებს მიიღებდა სხვადასხვა ნივთიერება ძლიერი გაცივებით. აი სწორედ მაშინ აღმოაჩინეს ლითონების ახალი თვისება. ამ თვისებას მეცნიერებმა ზეგამტარიანობა უწოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუბრი

ამ ათასი წლის წინათ ევროპის დიდი ნაწილი ულრანი ტყეებით იყო დაფარული. აქ ცხოვრობდნენ გოლიათი ტყის ხარები — ზუბრები. ტყის ფართობი ასეული წლების განმავლობაში მცირდებოდა და მისი მკვიდრნი — ზუბრები ქრებოდნენ. ამჟამად ზუბრების, ბიზონებისა და მათი ჰიბრიდების შერეული ჯოგი სსრ კავშირში სულ 69 სულისაგან შედგება. მათ შორის 20 წმინდა სისხლის ზუბრია, 10 ბიზონი და 39 ჰიბრიდული ზუბრი (ზუბრო-



ბიზონი). მთავრობა ყველა ღონისძიებას ღებულობს ამ სახარგებლო და საოცარი ცხოველების შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად.

უძველესი ეპოქის ამ ცხოველების შენახვას დიდი მეცნიერული, ხოლო მათ მომრავლებას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. თითოეულ ზუბრს შეუძლია მოგვცეს 500 კილოგრამი ხორცი, ფართო და მაგარი ტყავი და 4 კილოგრამი რბილი, თბილი მატყლი.

ზუბრი გოლიათი ცხოველია. მისი სიმაღლე 2 მეტრს აღწევს; ის 1 ტონამდე იწონის. მიუხედავად ამ სიდიდისა და მძიმე წონისა, შეშინებული ან გაჯავრებული ზუბრი მეტად მოქნილი და სწრაფია. გაჭენებულ ზუბრს ყველა ცხენი როდი დაეწევა. ხშირი, სქელი ბეწვი, რითაც იგი დაფარულია, კარგად იცავს სიცივისაგან და საშუალებას აძლევს ქარბუქის დროს დიდხანს უძრავად იწვეს თოვლში.

ზამთარში ზუბრი უმთავრესად ახალგაზრდა ფიჭვის ქერქით იკვებება, ზაფხულში კი მისი საკვები უფრო მრავალფეროვანია.

მეტად თავისებურია ზუბრების თამაში: ორი-სამი გოლიათი ცხოველი იწყებს მიწის თხრას ფეხებითა და რქებით. მერე კოტრიალებენ ამოჩიჩქნილ მიწაზე, დგებიან და უცებ ოთხივე ფეხის მძლავრი ბიძგით შეხტებიან ერთ მეტრზე. ჰაერშივე შემოტრიალდებიან და მიწაზე დაეშვებიან უკანა ნაწილით. ამის შემდეგ ისინი კარგახანს ჭენებით უვლიან პატარა წრეს.

ხარებს უყვართ ღონის გამოცდა ახალგაზრდა ხეებთან: არყის ხეებს გრეხენ რქებით, ნაძვებს, ფიჭვებს შემოაცლიან ქერქსა და ტოტებს და ბოლოს ამტვრევენ ან ფესვიანად ამოთხრიან მათ. ამოთხრილ ხეს ზუბრი რქებზე მოიგდებს ხოლმე და ჰაერში აისვრის.

წმინდა რკინა

იშვითად თუ ვისმეს სჭერია ხელში წმინდა რკინა.

რატომ? განა დედამიწა მდიდარი არაა რკინით? თუ ადამიანებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მისი მოპოვება?

რკინა ბევრია დედამიწაზე. იგი შედის ნიადაგისა და მინერალების; ცხოველთა ჰემოგლობინისა და მცენარეთა ქლოროფილის შემადგენლობაში. რკინა გვხვდება დედამიწაზე სხვა ელემენტებთან, უფრო ხშირად გოგირდთან, ჟანგბადთან, ნახშირმჟავასთან და სხვა ელემენტებთან ნაერთის სახით. წმინდა რკინა შეიძლება მივიღოთ ქიმიურ ლაბორატორიაში, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება იგი დედამიწაზედაც ვნახოთ. თქვენ გაგიგონიათ, რა თქმა უნდა, მეტეორიტების შესახებ, რომლებიც ეცემა დედამიწაზე. აი სწორედ ეს მეტეორიტები — პლანეტათაშორისო სივრცის წარმოგზავნილები — შეიცავენ წმინდა რკინას.

ქარის ენერგია

რომ შეგვეძლოს სრულად გამოვიყენოთ ქარის ენერგია იმ რაიონებში, სადაც იგი მუდმივად ქრის, მაგალითად, ბალტიისა და კასპიის ზღვების რაიონებში, კამჩატკაზე, და შეგვეძლოს ამ ენერგიის გადაქცევა ელექტრობად, მაშინ აღნიშნული ტერიტორიების თვითეულ კვადრატულ კილომეტრზე შეიძლებოდა მიგვეღო 60.000-დან ერთ მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია წელიწადში.

ოკეანის სიღრმეში

როცა მეცნიერი სპეცსამოსელით ოკეანის სიღრმეში რამდენიმე ასეულ მეტრზე ჩავიდა, ფოტოსურათი გადაუღო ამ საოცარ მოვლენას: მტაცებელი თევზი — „შავი შთანმთქმელი“ ყლაპავს

მასზე სამჯერ დიდ თევზს. აი, მან მიიღო საბრძოლო მდგომარეობა იერიშზე გადასასვლელად (სურათი ზევით). აი დაავლო პირი დიდ თევზს (სურათი შუაში). აგერ, იგი უკვე მიცურავს მსხვერპლით, რომელიც ამ პატარა თევზის გაბერილ მუცელშია მოქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუმრობა



მე გავიზარდე ტყიან მხარეში, სადაც მრავლად მოიპოვება ყოველნაირი ნადირი. დათვებს ხშირად დაუგლეჯიათ ცხენები და ძროხები. მიუხედავად ურიცხვი ძაღლებისა, მელიებსაც ბლომად მოუპარავთ საქათმიდან ქათმები.

ჯერ მოზარდი ვიყავი, ნადირობა რომ დავიწყე. ძალიან მეშინოდა დიდ ნადირთან შეხვედრა. ჩემი ძველი თოფი მხეცებისთვის არ იყო განკუთვნილი. ამნაირ თოფებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში თუ შეხვდებით, როგორც სიძველის ნიმუშს.

ერთხელ ტყეში ბილიკზე წაქცეულ ხეზე დავჯექი და ვისვენებდი. ბილიკიდან ოცდაათ ნაბიჯზე გამობაჯბაჯდა პატარა, ბუთხუზა დათუნია.

ჩემი უხეირო თოფით არ შემეძლო მომეკლა, მაგრამ თოფი მაინც ვესროლე, რისთვის? ისე, გავეხუმრე პატარას. მე და ის თითქმის ტოლები ვიყავით და რატომ არ შეიძლებოდა გავხუმრებოდი?!

მგონი, ორი-სამი საფანტი მოხვდა მიზანში. დათუნია დატრიალდა და აწკმუტუნდა. ნაძვნარიდან უცებ გამოვარდა დედა დათვი და ჩემკენ გამოექანა.

მე მაშინვე გადავაგდე თოფი და კატასავით ავცოცდი ხეზე. არავითარი იარაღი არ გამაჩნდა თავის დასაცავად, თანაც ვიცოდი, რომ დათვებს ემარჯვებათ ხეზე ასვლა. გავიფიქრე, უეჭველად დავიღუპები ძეთქი. დათვი არ ამოვიდა ხეზე, შედგა ყალყზე და შეუბრალებლად აქანებდა ნორჩ ნაძვს, რომელზედაც მე ვიყავი. ხე ისე იხრებოდა, თითქოს ეს არის უნდა გადატყდესო. თავბრუ მეხვეოდა, გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა, მაგრამ ხელები მაინც მაგრად მქონდა შემოხვეული ხეზე.

პატარა დათუნია კი ბილიკზე იჯდა და ტიროდა. დედა მიიხედავდა ხოლმე შვილისკენ და თითქოს ეუბნებოდა:

— გაჩუმდი! ხომ ხედავ, ვაქანებ ხეს, ჩამოვაგდებ ამ უსაქმურს და გვერდებს დავუმტვრევო.

დათუნია ტირილს განაგრძობდა.

— დედიკო, მალე ჩამოაგდე, უთხარი, ნულარ გაისვრის თოფს, ნუ შეაშინებს პატარებს!

დედა დათვი კი ჩუმად ბურტყუნებდა:

— ვეცდები მოვტეხო ხე, ჩემო დათუნი.

მაინც მოტეხდა... გადამარჩინეს მეზობლებმა, რომლებიც სამუშაოდან ბრუნდებოდნენ ცხენებით. გლეხები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ცხენებს კი დათვის სუნი სცემოდათ და ხვიხვინებდნენ.

დედა დათვმა გლეხების ლაპარაკი რომ გაიგონა, უკმაყოფილოდ მიატოვა ხე და ბუჩქებს მიეფარა, უკან კი კოჭლობით სასაცილოდ გაჰყვა პატარა ბელი.

მე ხიდან ჩამოვედი. გლეხებისათვის არაფერი მითქვამს, რადგან ამისთანა შემთხვევის დროს ახალგაზრდა მონადირეც კი არ დაიკვეხებს.

მე გავიზარდე, ჭკუა და გამოცდილება მომემატა. თუ ტყეში შევხვდებოდი პატარა მხეცს, უკვე ვიცოდი, რომ იქვე ახლოს მისი დედაც იქნებოდა, რომელსაც ხუმრობა არ უყვარს. შეიძლება რომელიმე გულად ადამიანს გაეცინოს ჩემს გულწრფელ ნაამბობზე, — ასეთ გულადს ვურჩევ ათი წუთი მაინც დაჰყოს ნაძვის ხეზე, რომელსაც გამხეცებული თხუთმეტფუთიანი დათვი აქანებს. იჯდეს უიმედოდ და არაფერი იცოდეს იმ გლეხების შესახებ, რომლებიც მას შემთხვევით გადაარჩენენ.

ი. არამილევი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ლ. ავალიანი — ჩაიკოვსკის „ტოროლა“ (მოთხრობა)	1
ვ. სურგულაძე — მეჩუქურთმის სიმღერა (ლექსი)	3
გ. გელაშვილი — ხარატები (მოთხრობა)	4
ი. ნადაშვილი — გაზაფხული (ლექსი)	6
თ. ჩხაიძე — ახალი გაზაფხული (მოთხრობა)	7
ი. გრიშაშვილი — ჰიმნი შრომისადმი (ლექსი)	8
დ. ბაქრაძე — ქალიშვილი საკონცენტრაციო ბანაკიდან (ნარკვევი)	9
ვ. მაისაია — ჩემი თანაშემწენი (წერილი)	11
გ. კაჭახიძე — ნინო მასწავლებელი (პოემა)	12
ბ. ბახტაძე — მათ სამშობლო ზრდის (წერილი)	17
გ. შატბერაშვილი — მტკვრის სათავისაკენ (მოთხრობა. გაგრძელება)	19
ქ. წერეთელი — სოლომონ პირველი (წერილი)	22
ვ. ორლოვი — დაზიანებული თვალი და მაგნეტო (მოთხრობა)	23
ა. ბილანიშვილი — რას გვასწავლიდა ვ. ი. კალინინი (წერილი)	25
ტ. თოდრაძე — დოლის პური (წერილი)	28
ცნობისმოყვარეთა კუთხე	30
ი. არამილევი — ხუმრობა (მოთხრობა. თარგმნილი **თ. მთვარელიშვილის** მიერ)	31
დედები, დები (წერილი) — გარეკანის	2-ე
ჩვენი კალენდარი . . . გარეკანის	3-ე

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა „დედა“ ეკუთვნის მხატვარ **ა. გიგოლაშვილს**

გარეკანის მეოთხე გვერდზე „მშვიდად იყავ, პატარავ!“ მუსიკა კომპოზიტორ **შ. მილორავახი**, სიტყვები **ლ. მგელაძის** და **ი. გოცირიძის**.

რედაქტორი ბ. კაჭახიძე. სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. პასუხისმგებელი მდივანი ვ. თოლდუა. სამხატვრო რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 00085 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეკვ. № 89 სტამბის შეკვ. № 369

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

პარიზის კომუნა

თქვენ გისწავლიათ დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „ბარიკადებზე". ეს ლექსი გადმოგვცემს ეპიზოდს პარიზის კომუნის დამარცხების დღეებისას, როცა ჯალათი ტიერი ულმობლად გაუსწორდა კომუნარებს.

18 მარტს 80 წელი შესრულდა პარიზის კომუნის გამოცხადების დღიდან.

1870 წელს ნაპოლეონ III-ის საფრანგეთის იმპერია სასტიკად დამარცხდა პრუსიასთან ომში. საფრანგეთის 100-ათასიანი არმია ნაპოლეონ III-თან ერთად ტყვედ ჩავარდა. ამით აღშფოთებულმა ავჯანყებულმა ხალხმა საფრანგეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. მაგრამ შექმნილმა დროებითმა მთავრობამ უღალატა მშრომელ ხალხს და იწყო პრუსიელებთან შეთქმულება საფრანგეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად. მთავრობას სათავეში ჯალათი ტიერი ედგა. მთავრობა ვერსალში იმყოფებოდა. პარიზის პროლეტარიატი, რეპრესიების მიუხედავად, ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ტიერის მთავრობის წინააღმდეგ. 1871 წ. 18 მარტს ტიერმა დაძრა ჯარი პარიზისაკენ; მაგრამ ნაციონალური გვარდია, მთელი ხალხი იარაღით ხელში შეებრძოლა კონტრრევოლუციას. ავჯანყებულთა მხარეზე მთავრობის რეგულარული ჯარის მრავალი მეომარი გადავიდა. საღამოს მთელი პარიზი ხალხის ხელში იყო. იმავე დღეს პროლეტარიატმა კომუნა გამოაცხადა.

პარიზის კომუნამ 72 დღე იარსება და მრავალი სოციალური გარდაქმნა გაატარა. ხალხის სარგებლობაში გადავიდა ბურჟუების სახლები, ეკლესიები, მონასტრები, სასახლეები, პარკები, მუზეუმები. პარიზიდან გაქცეული ბურჟუების ყველა საწარმო გადაეცა მუშებს, მსხვილ საწარმოებში დაწესდა მუშათა კონტროლი. გამოცხადდა ქალთა თანასწორუფლებიანობა მამაკაცებთან, შემოღებულ იქნა უფასო სწავლება.

მაგრამ კომუნა დამარცხდა, რადგან თვით მის ხელმძღვანელობაში არ იყო ერთიანობა, არ იყო კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის და, რაც მთავარია, მუშათა კლასი არ იყო მომწიფებული, მას სათავეში არ ედგა მარქსისტული პარტია.

1871 წლის 28 მაისს დაეცა კომუნის უკანასკნელი ბარიკადი. ჯალათმა ტიერმა სისხლში ჩაახრჩო პარიზის კომუნა. 30 ათასი კაცი დახვრიტეს, 40 ათასი ციხეში ჩაყარეს ან კატორღაში გაგზავნეს.

პარიზის კომუნა დამარცხდა, მაგრამ კომუნის იდეები უკვდავია, ამ იდეამ გაიმარჯვა რუსეთში ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, ეს იდეა გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

რაფიელ ერისთავი

ვინ არ დამტკბარა პატრიოტული ლექსით „სამშობლო ხევსურისა", ვის არ ახსოვს „ტეტიას მოთქმა", „ბერუას ჩაფიქრება", „სესიას ფიქრები", „თინიას მამითადი"! ეს და მრავალი სხვა შესანიშნავი ლექსი ეკუთვნის გლეხის გულის მესაიდუმლეს, XIX საუკუნის გამოჩენილ პოეტს რაფიელ ერისთავს. მრავალი ათეული წლების მანძილზე მისი ლექსები ამშვენებენ მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებს. რამდენი თაობა აღზრდილა მის ნაწარმოებებზე! ხალხს უყვარს თავისი სახელოვანი პოეტი. ქართველმა ხალხმა 4 მარტს ფართოდ აღნიშნა პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავი.

რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წლის 1 აპრილს სოფელ ქისტაურში. წერა-კითხვა 7 წლისას შეასწავლა დედამ. მერე სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შუამთის მონასტერში, ბოლოს — თბილისის გიმნაზიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1845 წელს. ამის შემდეგ იგი სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა.

რაფიელ ერისთავის ლექსებში დიდი მხატვრული ძალით, სიმართლითა და უბრალოებით არის მოცემული თვითმპყრობელობის-დროინდელი საქართველოს გლეხობის მძიმე ცხოვრება.

1895 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა რაფიელ ერისთავის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი. მაშინ რაფიელს ლექსი მიუძღვნა ჭაბუკმა იოსებ ჯუღაშვილმა.

რაფიელ ერისთავის შესანიშნავი შემოქმედება მადლიერი ხალხის საკუთრება გახდა.

274/465

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდად იყავ, პატარავ! *

მუსიკა შოთა მილორავასი

სიტყვები ლ. გგელაძისა და ი. გოცირიძის



ჩემო კარგო, ეგ თვალები
მამის თვალებს რომ მიგიგავს,
დაიძინე, მე გიამბობ
ერთ ლამაზ და ნამდვილ იგავს:

მარადჟამს რომ უშფოთველი,
წყნარი ძილი გქონოდა,
რომ ყოველთვის, გენაცვალე,
დედა ახლოს გყოლოდა,

რომ ღიმილი შენი წმინდა
მტერს ცრემლით არ შეეცვალა,
მამაშენმა, სხვებთან ერთად,
სიცოცხლეც კი განაცვალა.

არ გიგრძვნია უმამობა,
ნანა, შვილო, ნანინა,
და მშვიდობის ვერაგ მტერმა
თუ კვლავ არ დაგაძინა, —

მშვიდობისთვის ერთად წავალთ,
ვივლით დები ძმების გვერდით.
შვილსაც ზრდის და სამშობლოსაც
იცავს ჩვენი ქალის მკერდი.

ნანა, შვილო, თუმცა ზოგი
უკრავს ომის ნაღარას,
ძილს ვერავინ შეგიშფოთებს,
მშვიდად იყავ, პატარავ!

* 1950 წლის დეკემბერში, მოსკოვში მოწყობილ ხელოვნების მუშაკთა სახლების შემოქმედებითი აქტივის საკავშირო დათვალიერებაზე, კომპოზიტორ შ. მილორავას ეს სიმღერა ჩონგურზე შეასრულა თბილისის ფილარმონიის სოლისტმა ტატიანა მახარაძემ და მიიღო პირველი პრემია.